# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 10 ნოემბერი 2004 №262 (2283) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბევრისმნახველმა ქალბატონმა ჩელსის და გზასაცდენილი ბიჭი შეიფარა

ლუჩანო მოჯი ის კაცია, ვინაც ამ ზაფხულს ფაბიო კაპელო „იუვენტუსში" ისე გაამწვრთნელა, მთელმა ევროპამ გაოცებისგან პირი დააღო.

ლუჩანო მოჯი ის კაცია, ვისაც, გუშინდელი ცნობებით, მეტად უცნაური საქმე გაუჩარხავს – „ჩელსიდან" გაძევებული კოკაინის მოყვარე და შვიდი თვით დისკვალიფიცირებული რუმინელი ადრიან მუტუ „ბებერ ქალბატონს" ჩაახუტა.

ამ ამბავში სინიორ ლუჩანომ შვილი, ალესანდრო დაიხმარა, რომელიც ცნობილი სააგენტო **GEA WORLD**-ის მფლობელია და რომელმაც რუმინელის სატრანსფერო საქმეების მოგვარება მას შემდეგ იკისრა, რაც მუტუმ თვისტომ აგენტ ჯიკა პოპესკუსთან ურთიერთობა გაწყვიტა.

## იუჰანსონმა შვეიცარიას და ავსტრიას ევროპა დაუმტკიცა

საფეხბურთო ევროპამ 2008 წლის ჩემპიონატის მასპინძლებად შვეიცარია და ავსტრია რომ ირჩია, ეს ამბავი ახალი არაა, მაგრამ ამ ორ კოხტა ქვეყანას უეფამ ოფიციალურად გუშინლა დაუმტკიცა ეს უფლება. მასპინძლებს, უფრო კი შვეიცარიელებს, სტადიონების პრობლემა ჰქონდათ. შვეიცარიელებმა რამდენიმე კვირის წინ დაიჩივლეს, ციურიხში ახალი სტადიონის აშენებას ვაპირებთ, მაგრამ დროულად არ ესწრებაო, რის გამოც უეფამ დღის წესრიგში ჩემპიონატის ალტერნატიული მასპინძლის მოძიების საკითხიც კი დააყენა. მაგრამ ახლა, როცა შვეიცარიელებმა ხელი აიღეს ახლის შენებაზე და ციურიხის ძველი „ლეციგრუნდის" რეკონსტრუქცია განიზრახეს, სტადიონის პრობლემაც მოიხსნა. გუშინ კი უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი ვენაში შეხვდა შვეიცარიელ-ავსტრიელებს და ევროპირველობის მასპინძლობა ხელმოწერით დაუმტკიცა.

მაშ, შვეიცარია და ავსტრია!

ნეტავ ქართველები სად ვიქნებით 2008 წლის ზაფხულში?





### დღეს მიშიკოს დღეობაა

## პატივცემულ იუბილარს ფიქრის დრო ჰქონდა

### ლოკომოტივის და მისი ფანების მადლიერი მიხეილ აშვეთია ქართული ფეხბურთის მტერსაც ქარგად იცნობს და დანიასაც

... უკრაინასთან ისევ და ისევ სათამაშო დისციპლინის დარღვევის გამო წავაგეთ. ერთი-ორჯერ უხეშად შევცდით და დავისაჯეთ. უყურადღებობა და სათამაშო დისციპლინის უქონლობა — ესაა ჩვენი პირველი მტერი.

... დანიელების უმთავრესი ღირსება ტაქტიკური განსწავლულობაა. ასეთი გამართული ნაკრები ბევრი არ არის. მათ ტექნიკაც, ბურთის გაჩერებაც და კარში დარტყმაც კი ტაქტიკასთან აქვთ შერწყმული — უსერიოზულესი გუნდია.

# ოლსენს სენი არ ელევა



დანიელებს ლეონ ანდრეასენიც დააკლდებათ

### საქართველო—დანიის

უმნიშვნელოვანეს ჯახამდე ერთი კვირაღა დარჩა, ჩვენს მეტოქეს კი პრობლემა პრობლემაზე ემატება. მორტენ ოლსენის მიერ შეგულებულ სათბილისო შემადგენლობას გუშინ გაეცნობოდით, ახალი კი ისაა, რომ დანიელთა თავკაცს კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოაკლდა: „ორჰუსის" მცველმა ლეონ ანდრეასენმა ტრავმა მიიღო. 21 წლის ანდრეასენს აქამდე ეროვნულ ნაკრებში არ უთამაშია, მაგრამ მწვრთნელს რომ მისი ძალიან ეიმედებოდა, ამ სიტყვებიდანაც ჩანს: „ლეონი დანიის ჩემპიონატის გამორჩეული მცველია და ამ სეზონში სტაბილურობით ბევრს ჯობნის".

დანიელი ჟურნალისტების ვარაუდით, ანდრეასენი მორტენ ვიგჰორსტს უნდა შეეცვალა, მაგრამ 32 წლის მცველიც მძიმედ დაშავდა. „დინამიტს" ყველაზე მეტად სწორედ უკანა ხაზში უჭირს, რადგან დამტვრეულები ჰყავს კახა კალაძის ყოფილი მილანელი თანაგუნდელი, ამჟამად კი ასტონვილელი მარტინ ლაურსენი და ეინდჰოვენელი კასპერ ბოგელუნდი, ხოლო გამოცდილი თომას ჰელვეგი დისკვალიფიკაციას იხდის.

და მხოლოდ ეს? მოგეხსენებათ, თბილისში ვერ ჩამოვა ბირმინგემელი ელვა-გარემარბი იესპერ გრონკიაერი, რომელიც თურქებთან მატჩში გააძევეს. ტრავმის გამო ვერ ვიხილავთ „ფულემის" შუახაზელ კლაუს იენსენსაც, ხოლო მისი ვერდერელი მოგვარე დანიელი გამოძახებული კი არის, მაგრამ ახლახან მომჯობინდა და შესაძლოა, ოლსენის კრებულს დააკლდეს.

ასე რომ, დანია, სულ ცოტა, 7 ფეხბურთელს მოისაკლისებს თბილისში. სამაგიეროდ, „დინამიტს" ორი ფეხბურთელი გამოუჯანმრთელდა — „ასტონ ვილას" მეკარე თომას სორენსენსა და „ბოხუმის" ფორვარდ პეტერ მადსენს თურქებთან არ უთამაშიათ.

მორტენ ოლსენის მსგავსად, სათბილისო 19-კაციანი კრებული დანიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა ფლემინგ სერისტლევმაც გამოაცხადა:

***მეკარეები:*** *კევინ ელეგაარდი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ტეის რასმუსენი (ოდენსე);*

***მცველები:*** *იაკობ პოულსენი, ნიკლას ჰოვი (ორივე ესბიერგი), მარტინ პედერსენი (ოლბორგი), იონას ტროესტი (სილკებორგი), ჰენრიკ ჯილდენტორფტი, სებასტიან სვარდი (ორივე ბრონდბიუ);*

***ნახევარმცველები:*** *მარტინ ბერგვოლდი (კოპენჰაგენი), იონას კამპერი, კასპერ ლორენცენი (ორივე ბრონდბიუ), იაკობ სორენსენი, რასმუს ვურცი (ორივე ოლბორგი), მიქაელ კრონდელი (ვალვაიკი, ჰოლანდია), მიკელ ტიგესენი (მიდტიულანდი);*

***თავდამსხმელები:*** *იოჰან აბსალონსენი, თომას კალენბერგი (ორივე ბრონდბიუ), იეპე კურტი (ფეინოორდი, ჰოლანდია), მორტენ რასმუსენი (ორჰუსი).*

**ილია ნანობაშვილი**



# გადავრჩი!

აკაკი დევაძე დანიასთან ითამაშებს — ეს ამბავი მას შემდეგ გაირკვა, რაც კაკო ექიმებს გაესინჯა და დამაიმედებელი პასუხი მიიღო. „თბილის" — „ბათუმის" მატჩში დაშავებულ მეკარეს სერიოზული არაფერი სჭირს...

— გადავრჩი, ტრავმა სერიოზული არ გამოდგა და ხვალიდან ვარჯიშს განვაახლებ.

— ტკივილები აღარ გაწუხებს?

— არა. შეჯახების მერე სისხლჩაქცევა დამრჩა და სხივებით ვიკურნალე. უკვე თითქმის აღარც მეტყობა. ასე რომ, საშიში არაფერია.

— ესე იგი, დანიასთან ითამაშებ?

— ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. მთავარია, ჯანზე ვარ და მომავალ ტურში ბოლნისის „სიონთან" სათამაშოდაც ვემზადები.

**ძახა შალამბერიძე**

კარგად დაწყებული ბუნდესსეზონის შემდეგ „ფრაიბურგმა" ტემპი დაკარგა და ნაგებას გაუშინაურდა. ლევან ცქიტიშვილისა და ალექსანდრე იაშვილის გუნდი ამ უქმეებზე ხელცარიელი დაბრუნდა ლევერკუზენიდან, სადაც ჩემპიონთა ლიგის ბინადარს პირველ ტაიმში მაგრად დაუდგა, სუმიალა კულიბალის გოლით იგებდა კიდეც, მაგრამ შესვენების შემდეგ ოთხჯერ „დაიხვრიტა". „ლევერკუზენი" „ფრაის" საკბილო გუნდი ნაღდად არ არის, თუმც ფოლკერ ფინკეს ბიჭებს „ფარმაცევტებთან" ყოველთვის გამოსდიოდათ თამაში.

ამ მატჩში ორივე ქართველმა სრულად ითამაშა, მაგრამ 1:4-ის მერე მაღალ შეფასებებს რას მიიღებდნენ. „ფრაიბურგმა" ბოლოსწინა, მე-17 ადგილზე „ჩაყვინთა". გუნდის ჩავარდნის მიზეზების შესატყობად ალექსანდრე იაშვილს დავუკავშირდით... „ფრაი" დღეს გერმანიის თასის მერვედფინალში სტუმრად ეთამაშება რეგიონალლიგურ „პადერბორნს" და „იაშკამაც" ამით დაიწყო საუბარი...



# იაშვილს ფრაიბურგის მეჩვიდმეტე, ჩვიდმეტში კი დანია აფიქრებს

— რეგიონალლიგელის კვალობაზე „პადერბორნი" ძალიან ძლიერია, ბუნდესლიგაში ნათამაშები ფეხბურთელები ჰყავს და იოლი გასეირნება არ გვექნება. თანაც ამ გუნდმა ჯერ „ჰამბურგი", მერე კი „დუისბურგი" გამოთიშა თასიდან. როგორც წესი, „ფრაიბურგი" თასზეც არანაკლებ აქცენტს აკეთებს და „პადერბორნი" თუ გავიარეთ, ჩემპიონატის მატჩებისთვის ხასიათს გამოვიკეთებთ...

— ბუნდესლიგაში ძალიან ცუდად თამაშობთ და უკვე გასავარდნთა სიაში ხართ. მაინც რატომ დაიწყო ჩავარდნა?

— ალბათ „ლევერკუზენთან" მატჩზე ამბობთ, თორემ იმის წინ „შტუტგარტს" ულაპარაკოდ მოვუგეთ. ცუდად არც ლევერკუზენში გვითამაშია, პირიქით, პირველი ტაიმი მთლიანად ჩვენი იყო, 1:0-ს ვიგებდით და მეორე გოლის გატანაც თავისუფლად შეგვეძლო. მეორე ტაიმში კი კაცი გაგვიგდეს. ამ დროს 1:2-ს ვაგებდით და ვუტევდით, მაგრამ ათი კაცით სტუმრად თამაში როგორია... ცოტა დავილალეთ კიდეც და ბოლო სამ წუთში ორი გოლი გავუშვით.

— საგოლე მომენტი თუ გქონდა?

— მე არა, მაგრამ პირველ ტაიმში ორნი დავრჩით მეტოქის ერთ მცველთან, პასიც დროული გავაკეთე, მაგრამ კულიბალის მეკარემ აუღო. მთლიანობაში 1:4-ით წასაგები თამაში არ იყო.

— ცქიტიშვილმა როგორ ითამაშა?

— ძალიან კარგად. საერთოდ, შედარებაც არ არის — ლევანის გარეშე „ფრაიბურგი" მორღვეულია, მასთან ერთად კი ნახევარდაცვაში გამართულად ვთამაშობთ. ეს მაშინ უფრო იგრძნობოდა, როცა ცქიტიშვილი არ თამაშობდა.

— შენი ნათქვამიდან გამოდის, რომ „ფრაიბურგის" დაღმასვლა დროებითია და გუნდში პანიკა არ იგრძნობა...

— არა, პანიკა რას ჰქვია, ყველა ფეხბურთელმა ვიცით, რომ რთულ სიტუაციაში ვართ, მოულოდნელად ცხრილის ბოლოში აღმოვჩნდით და ამან უფრო შეკრა გუნდი. შაბათს „არმინიას" ვიღებთ და ეს თამაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ...

— ბუნდესლიგის გრანდებზეც ვთქვათ: კობიაშვილის „შალკემ" ძალიან იყოჩაღა და, შენი აზრით, ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლია? და საერთოდ, ფავორიტებად ვის თვლი?

— პირველი ფავორიტი მაინც „ბაიერნია", მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, „შალკე" და „ვერდერი" ბოლომდე ეცდებიან თავისას. მართალია, ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მაგრამ „ვოლფსბურგის" ჩემპიონობა გამორიცხული მგონია. ისე კი, მიუნხენელების შემდეგ ყველაზე კარგი შემადგენლობა „შალკეს" ჰყავს და შედეგთან ერთად ლამაზ ფეხბურთსაც თამაშობს.

— და ბოლოს, 17 ნოემბერს დანიასთან გვაქვს თამაში...

— რა გითხრათ, რთული და საინტერესო მატჩი გვექნება. დანია მთლად ევროგრანდი თუ არა, არც ბევრად ნაკლებია, ყოველთვის კარგი ფეხბურთელები ჰყავთ და რამდენიმე მათგანს ვიცნობ ბუნდესლიგიდან. ჩემი აზრით, დანიელები ჯგუფის მთავარი ფავორიტები არიან, მათთან მოგებით ძალიან დიდი შანსი გაგვიჩნდება...

**ილია ნანობაშვილი**

## ინგლისი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩები
ბლეკპული 2:1 რექსემი
ბრისტოლი 4:0 ტრანმერი

ლიგის თასის მერვედფინალი
ბარნლი 0:3 *ტოტენჰემი*
*უოტფორდი* 5:2 საუთჰემპტონი
*არსენალი* 3:1 ევერტონი
კარდიფი 0:2 *პორტსმუთი*

## ავსტრია

პირველი დივიზიონი
XVI ტური
ავსტრია (ლ) 4:0 ლინცერი
ლეობენი 0:1 კაპფენბერგი
რიდი 3:0 ალტახი
უნტერზიგენბრიუნი — გრატკორნი
ვიორგლი — კერნტენი *დღეს*
მემფისის თასი. II ეტაპი
რაპიდი (მ) — მატერსბურგი *გადაიდო*

## გერმანია

თასის მერვედფინალი
არმინია 4:0 კარლსრუე
*ჰანოვერი* 1:0 დორტმუნდი
*ვერდერი* 3:1დ.დ.(1:1) ტრირი
*ბაიერნი (მ)* 3:2 ბრაუნშვაიგი

## ჰოლანდია

ამსტელის თასის 1/16 ფინალი
*დენ ჰააგი* 3:1 ემენი
*ვოლენდამი* 3:1 ჰერაკლესი
*იგლსი* 2:0 როდა
ჰელმონდი 2:4დ.დ.(2:2) *ოსი*
ტელსტარი 0:2 *დორდრეხტი*

## საფრანგეთი

ლიგის თასის 1/16 ფინალი
*ლე ავრი* 4:1 ლე მანი
*მონპელიე* 3:1 რეიმსი
სედანი 0:1 *მონაკო*
აიაჩო 0:2 *კაენი*
ბრესტი 1:2 *სოშო*
*კლერმონი* 0:0(პენ.5:4) ტულუზი
*დიჟონი* 2:1დ.დ.(1:1) ბორდო
მეცი 1:2დ.დ.(0:0) *ბასტია*
ნიცა 1:1დ.დ.(პენ.4:5, 1:1) ლანსი
ტრუა 1:3 *სტრასბური*
*სენტ ეტიენი* 3:1 კრეტეი

## პოლონეთი

თასის პირველი ეტაპი
მაზოვშე 1:0 პოგონი
კოშარავა 1:1 იავორჟნო
ოსტროვიცი 1:0 ლეხი
პოლკოვიცე 0:2 ზაგლებე

## ირლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ლონგფორდი 2:0 დუბლინი

## სლოვაკეთი

თასის მესამე ეტაპი
ლიხატვორცე 3:0 სობოტა
პეტრჟალკა 4:0 სლოვანი
ბანსკა ბისტრიცა 0:1 ინტერი

## შოტლანდია

ლიგის თასის მეოთხედფინალი
*დანდი იუნ.* 2:1დ.დ.(1:1) ჰიბერნიანი
ლივინგსტონი 0:5 *მოზერუელი*

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საქართველოს უმაღლესი ლიგა 16 ჩემპიონატი
მეორე წრე
14 ტური

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 3:2 | ბათუმი |
| ლოკომოტივი | 2:0 | კოლხეთი |
| ტორპედო | 2:1 | დილა |
| ვიტ ჯორჯია | 2:1 | სიონი |
| ზესტაფონი | 0:2 | დინამო |

ეროვნული ბიბლიოთეკა





## გიორგი ისწავლის, ლუისი იმუშავებს

32 წლის გიორგი დევდარიანი „თბილისიდან" გერმანიაში მიდის სამწვრთნელო საქმის შესასწავლად და მას „თბილისში" პერუელი ლუის ცაკარიასი შეცვლის. მათი წასვლა-მოსვლა ოფიციალურად ჯერ არ მომხდარა, „ბათუმთან" მატჩში „თბილისის" სკამზე დევდარიანიც იჯდა და ცაკარიასიც. მომდევნო ტურში იქნებ ცაკარიასმა გაიყვანოს „თბილისი" ბოლნისში...

დევდარიანის „თბილისი" ყველას თავისკენ მოახედებს — ახალგაზრდა მწვრთნელმა ძალიან საინტერესო ახალგაზრდული გუნდი შექმნა, მაგრამ წარმატებულ საქმეს უფრო მეტი და მეტი უნდა, რაც დევდარიანმა გერმანიაში უნდა მიიღოს.

## ტრიბუნაზე ბორჯომის პურმარილია



*ერთმა ზესტაფონელმა სასადილოში მზარეულს გასძახა, ისეთი ხაჭაპური მომიტანე, ყველი რომ გამოსტიროდესო. „ზესტაფონი" — „დინამოს" მატჩზე მსგავსი ხაჭაპური სტუმრებისთვის ტრიბუნაზე არ მიურთმევიათ, „გადეიღე, გაცივდება" არ ყოფილა, მაგრამ „ბორჯომით" კი გვარიანად დაგაზეს.*

## შიღბლო კარის დღე
### გაცვლილთა გამოცვლა

მე-14 ტურის მთავარი მატჩი „თბილისი" – „ბათუმი" უიღბლო გამოდგა მეკარეებისთვის. მასპინძელი აკაკი დევაძე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა, სტუმარი სოსო გრიშიკაშვილი კი მსაჯმა გააძევა.

დევაძე საქართველოს ნაკრების მეკარეა და მისი ამბავი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, მით უმეტეს, დანიასთან მატჩი კარსაა მომდგარი. გასახარი ამბავია, რომ კაკო მძიმე ტრავმას გადაურჩა და სერიოზულად არ დაშავებულა.

ისე დევაძესა და გრიშიკაშვილს ერთი ამბავიც აკავშირებთ: სეზონის წინ აკაკის „ბათუმში" უნდა ეთამაშა, სოსოს კი „თბილისში". დღეს პირიქითაა – გუნდებმა მეკარეები გაცვალეს და...





### კაპიტანი და ბავშვები შუა თამაშში

*ბავშვები ფეხბურთელს ავტოგრაფს რომ ართმევენ, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ზესტაფონში ეს არაჩვეულებრივად მოხდა.*

*დინამოელთა კაპიტანი გიორგი ნემსაძე მატჩის მიწურულს შეცვალეს. ნემსაძემ სათადარიგოთა სკამს მიაშურა, წყალი მოსვა და ზესტაფონელი ბიჭებიც ტრიბუნიდან ქვევით დაეშვნენ, მავთულღობესთან მიეჭრნენ ფურცელ-კალმით და ნაკრების ექსკაპიტანს ავტოგრაფი მოსთხოვეს. თამაში ჯერ დამთავრებული არ იყო, როცა ღობით გაყოფილი ნემსაძე და ბავშვები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ.*

## პატარა ჭელიძის პატარა მუღამი



ამ ზაფხულს გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე „თბილისიდან" „ბათუმში" გადაბარგდა. ახალგაზრდა თავდამსხმელის ნაბიჯი გასაგები იყო — მის ასაკში სათადარიგოთა სკამზე ჯდომა დამღუპველი იქნებოდა.

მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა და ჭელიძის „ბათუმი" სამჯერ შეხვდა „თბილისს" — ერთხელ ამხანაგურად, ორჯერ კი ჩემპიონატში. „პაჭელომ" კი თავისი ყოფილი გუნდი ორჯერ დასაჯა და ორჯერვე თბილისში.

ფეხბურთში ხშირად ხდება — ერთი გუნდიდან მეორეში გადასული ფეხბურთელი პირველი გუნდის წინააღმდეგ განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს. ვერ ვიტყვით, გიორგის სხვა მატჩებში მონდომება აკლიაო, მაგრამ კვირას „თბილისის" კარში გატანილ გოლს მისთვის მაინც სხვა მუღამი ჰქონდა.

| ბომბარდირები | | |
|---|---|---|
| 8- | ბობოხიძე | ლოკომოტივი |
| | მეგრელაძე | ტორპედო |
| 7- | ჭელიძე | ბათუმი |
| | მერებაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| 6- | ხომერიკი | ბათუმი |
| | მელქაძე | დინამო |

### სიმბოლური ნაკრები

სანდრო იაშვილი — თბილისი
ჯაბა დვალი — დინამო
გოჩა ხოჯავა — თბილისი
შოთა ბაბუნაშვილი — ტორპედო
გოგიტა გოგუა — თბილისი
დავით დიღმელაშვილი — ვიტ ჯორჯია
ლადო ბურდული — ლოკომოტივი
ლევან ხმალაძე — დინამო
დავით გამეზარდაშვილი — ტორპედო
გიორგი შაშიაშვილი — დინამო
ზურაბ ბათიაშვილი — ლოკომოტივი

გუნდი: თბილისი
მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი

### მომდევნო ტური

11 ნოემბერი
ხუთშაბათი
სიონი – თბილისი
ბათუმი – ტორპედო
დილა – ზესტაფონი
დინამო – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 9 | 2 | 3 | 30:16 | 29 |
| ტორპედო | 14 | 8 | 5 | 1 | 21:8 | 29 |
| თბილისი | 14 | 8 | 3 | 3 | 31:17 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 7 | 3 | 4 | 26:19 | 24 |
| ლოკომოტივი | 14 | 6 | 6 | 2 | 19:7 | 24 |
| ბათუმი | 14 | 6 | 4 | 4 | 21:12 | 22 |
| კოლხეთი | 14 | 3 | 2 | 9 | 10:23 | 11 |
| სიონი | 14 | 3 | 2 | 9 | 13:31 | 11 |
| ზესტაფონი | 14 | 3 | 1 | 10 | 9:32 | 10 |
| დილა | 14 | 2 | 2 | 10 | 11:26 | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აშვეთია მტრებს კარგად იცნობს

## დანია ნასწავლი და უსერიოზულესია




მიხეილ აშვეთია სარეკლამო ფოტოზე და ქართული დროშა „ლოკომოტივის“ სტადიონის ტრიბუნაზე

19 სექტემბერი: მოსკოვის „ლოკომოტივი“ ვოლგოგრადის „როტორს“ ეთამაშება და უეჭველ სამ ქულასაც გეგმავს. ჩვენთვის სასიამოვნო კი ის ხდება, რომ ახალგამოჯანმრთელებული მიხეილ აშვეთია პირველად გადის მოედანზე. მიხო წინა დღით დაგვპირდა, ვოლგოგრადელებს გოლს გავუტან და ნავსს გავტეხო. ვაგლახ, რკინიგზელთა ქართველ თავდამსხმელს იღბალმა ისევ აქცია ზურგი — მეორე ტაიმში მძიმედ დაშავდა და...

მას შემდეგ ზუსტად 50 დღე გავიდა. აშვეთიამ ოპერაცია გაიკეთა, უკვე თაბაშირიც მოიხსნა, ყავარჯნებიც გადააგდო... ამასობაში „ლოკომოტივი“ საჩემპიონოდ დაიქოქა და... მიხოც გახარებულია, ოქროს თუ მოვიგებთ, ამ სეზონს როგორმე გავამართლებო.

და ერთიც, დღეს მიხეილ აშვეთიას 27 წელი შეუსრულდა, რაც სატელეფონო საუბრისას მივულოცეთ და მერე აქეთურიქითურზეც ვესაუბრეთ...

— უკვე თავისუფლად დავდივარ. თაბაშირიც მომხსნეს და ყავარჯნებიც აღარ მჭირდება. ჩვეულებრივად დავდივარ და ფეხი არ მაწუხებს.

— ეტყობა, სარეაბილიტაციო პერიოდმა კარგად ჩაიარა...

— მეც გაკვირვებული ვარ. არ მეგონა, ასე მალე თუ გავივლიდი. ექიმებიც ამბობენ, ოპერაციამ ძალიან კარგად ჩაიარაო და აგერ, შედეგიც ცოტა ხანში ერთხელაც ჩამიტარებენ გამოკვლევას და მერე წინ აღარაფერი დამიდგება.

— ზოგადად, ფეხბურთელები წინასწარ ლაპარაკს ერიდებიან, მაგრამ მაინც, თუ შეგიძლია, თქვა, როდის დაიწყებ ვარჯიშს?

— დეკემბერში ალბათ ტუნტულიც შემეძლება. გუნდზე ადრე უნდა დავიწყო ვარჯიში და შეკრებისთვის თავი შევამზადო.

— ანუ „ლოკომოტივს“ პირველივე შეკრებაზე მიჰყვები?

— აღარ დადგა ამის დრო?! იანვრამდე ძალებს აღვიდგენ და შეკრებაზეც წავალ. ეს ამბავი თითქმის გადაწყვეტილია.

— ეს სეზონი მეტისმეტად უიღბლო კი გამოგივიდა...

— ეს არ იყო ჩემი სეზონი. მსგავსი უიღბლობა არც კი მახსოვს. არ მეგონა, ასე იოლად თუ გადავიტანდი ყველაფერს. ტვინის შერყევა, ფეხის მოტეხვა... გახსენებაც აღარ მინდა.

— „ლოკომოტივი“ ჩემპიონი რომ გახდეს, მაინც ჩავარდნილად ჩათვლი სეზონს?

— ძნელი სათქმელია. მთავარია, გუნდმა მოიგოს და... ჩემთვის სეზონი კი დამთავრდა, მაგრამ ეს უკვე წარსული ამბავია და ახლა „ლოკომოტივის“ ჩემპიონობის გარდა არაფერზე ვფიქრობ.

— გუშინწინ „ლოკომოტივმა“ 3:1 მოუგო „ტორპედოს“ და ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა, თუმცა ეს თამაში სხვა მხრივაც იყო საინტერესო: „ლოკომოტივის“ ქომაგები ტრიბუნაზე შენი გასამხნევებელი ტრანსპარანტის გამოფენას აპირებდნენ...

— გამოფინეს კიდეც და ძალიანაც გამახარეს. ასეთ საჩუქარს არ ველოდი. პლაკატზე დაწერილი სიტყვები რომ წავიკითხე, კინაღამ მოედანზე გავვარდი. ეს მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი იყო ჩემთვის და „ლოკომოტივის“ ქომაგებსაც დიდ მადლობას ვუხდი მხარდაჭერისთვის. თამაშის მერე ის პლაკატი მაჩუქეს და ახლა შინ მაქვს, საგულდაგულოდ ვინახავ.



აშვეთია „როტორთან“ უიღბლო თამაშისას

— კლუბისგანაც ხომ გრძნობ მხარდაჭერას?

— კი და თან ძალიან დიდს. არ მეგონა, ასე თუ ვუყვარდი ამ ხალხს. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, ყველა გვერდით მედგა — მწვრთნელებიც, ფეხბურთელებიც, ხელმძღვანელებიც და გულშემატკივრებიც.

— „ლოკომოტივის“ თამაშების გარდა თურმე ვარჯიშებსაც ხშირად ესწრები...

— რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია. გუნდს თამაშით ვერ ვეხმარები და როგორც შემეძლება, ისე დავუდგები გვერდში.

— იური სიომინს ხშირად ხვდები?

— გუშინწინ თამაშის მერეც ვნახე. სულ მამხნევებს. მეუბნება, ყურები არ ჩამოყარო, თორემ არ ვიცი, რას გიზამო. ამ სიტყვებს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

— მოკლედ, უიღბლო სეზონი კი გქონდა, მაგრამ ეგებ პირველად გახდე რუსეთის ჩემპიონი...

— მშვენიერი იქნება. ამას ელის მთელი რუსეთი. ახლა იაროსლავლშიც მივყვები გუნდს. — „შინიკს“ უნდა მოვუგოთ და ოქრო ჩვენია. აქამდე ხელი მქონდა ჩაქნეული, მაგრამ ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და ამ სეზონსაც კარგი დაგვირგვინება უნდა.

— ისე, „ლოკომოტივის“ „გაცოცხლება“ მართლა ძნელი წარმოსადგენი იყო...

— ეგრეა, ბევრი ქულა დავკარგეთ, მაგრამ ცესკამ და „ზენიტმა“ ვერ ივარგეს და ეს შანსი არ უნდა გავუშვათ ხელიდან. „ლოკომოტივს“ ჩემპიონობა ალალად ეკუთვნის.

— ნაკრებზეც არ ვთქვათ ორიოდ სიტყვა, არ იქნება. უკრაინასთან მატჩს თუ უყურე?

— ვნახე და ძალიან მეწყინა, რომ წავაგეთ. მით უმეტეს, ჩვენი თამაში იყო.

— შენი აზრით, რატომ წავაგეთ?

— ისევ და ისევ სათამაშო დისციპლინის დარღვევის გამო. ერთი-ორჯერ უხეშად შევცდით და დავისაჯეთ. უყურადღებობა და დისციპლინის უქონლობა — ესაა ჩვენი პირველი მტერი.

— რამდენიმე დღეში თბილისში დანიას ვეთამაშებით და ამაზე რას იტყვი?

— უნდა მოვიგოთ. უბრალოდ, სხვა გზა არ გვაქვს. მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა თუ გვინდა, ეს თამაში უნდა მოვიგოთ.

— ადრე დანიურ „კოპენჰაგენში“ თამაშობდი და ყველაზე მეტად რა დეტალს გამოარჩევ ამ ქვეყნის ნაკრებში?

— უმთავრესი დეტალი ტაქტიკური განსწავლულობაა. ასეთი გამართული ნაკრები ბევრი არ არის. დანიელებს ტექნიკაც, ბურთის გაჩერებაც და კარში დარტყმაც კი ტაქტიკასთან აქვთ შერწყმული და, მგონი, ამით ახალი არაფერი მითქვამს. უსერიოზულესი გუნდია.

— თბილისში ჩამოსვლას არ აპირებ?

— 15-ში მანდ ვიქნები და ნაკრების თამაშსაც დავესწრები. მე და მალხაზ ასათიანი ერთად ჩამოვალთ.

**კახა შალამბერიძე**

# ქინქლაძეს პაფოსმა პათოსი შემატა

## ქეცბაია-მწვრთნელი და ქეცბაია-ფეხბურთელი ერთი და იგივეა

კვიპროსის ჩემპიონატის ბოლო ტურში ხუთქართველა „ანართოსისმა“ ძალიან უცნაური და გემრიელი გამარჯვება იზეიმა — შინ „პაფოსთან“ 0:2-ს აგებდა და მსაჯის მიერ დამატებული წუთებში სამი გოლი გაიტანა.

გიორგი ქინქლაძე 65-ე წუთზე შევიდა მოედანზე მოთამაშე-მწვრთნელ თემურ ქეცბაიას ნაცვლად და „ანართოსისის“ გამარჯვებაშიც დაიდო წილი. ქინქლაძეს გუშინ დავურეკეთ კვიპროსზე...

— მაინც რა მოხდა ისეთი, რომ 0:2 მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ამოქაჩეთ და მოიგეთ?

— უბრალოდ, ძალიან მოვინდომეთ. დავით ჩალაძემ კი გამთანაბრებელი გოლი ლამაზი თავურით შეაგდო.

— საგოლე პასი ხომ არ გაგიკეთებია?

— არა.

— როგორ ფორმაში ხარ, საკუთარი მზადყოფნით რამდენად კმაყოფილი ხარ?

— უკეთესად ვარ, უკვე ხუთ მატჩში ვითამაშე შეცვლაზე.

— მეტწილად ქეცბაიას ცვლი ხოლმე, რატომ?

— იმიტომ, რომ მე და ქეცბაია ერთნაირ პოზიციაზე ვთამაშობთ — ფორვარდების უკან.

— ქეცბაია მკაცრი მწვრთნელია?

— ქეცბაია ისეთივე მწვრთნელია, როგორიც ფეხბურთელად ახსოვთ საქართველოში — შეუპოვარია, სულ მოგება უნდა.

— ადრე დღეში ორჯერ ვარჯიშობდი — ჯერ ინდივიდუალურად, მერე გუნდთან ერთად — ახლაც ასეა?

— არა, ახლა უკვე მხოლოდ გუნდთთან ვვარჯიშობ.

— კვიპროსულ ჩემპიონატზე რა აზრი შეგექმნა?

— უკეთესია, ვიდრე ადრე იყო, თუმც მაღალი დონისააო, ვერ ვიტყვი. მაგრამ ცენტრალურ თამაშებს ოცი ათასამდე გულშემატკივარი ესწრება. მაგალითად, როცა „ანართოსისი“ „აპოელს“ ან „ომონიას“ ეთამაშება.

— სასტარტოში თამაშს დაახლოებით როდიდან შეძლებ?

— „ანართოსისში“ მისვლამდე ერთი სეზონი უთამაშებელი ვიყავი და ვიცოდი, რომ უცბად ფორმას ვერ აღვიდგენდი. ახლა ყველაფერი ნორმალურად მიდის. „პაფოსთან“ შეცვლაზე რომ შევედი და მოვიგეთ, ესეც კარგის მანიშნებელი უნდა იყოს — ეს თამაში კარგად წამივიდა და მომდევნო მატჩში ალბათ სასტარტოში ვიქნები.

**დავით თავართქილაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია

პაპუნა კედია

# ფრთხილად, ბუფონ!

| XI ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბრეშა | : | მილანი |
| კიევო | : | ატალანტა |
| ინტერი | : | ბოლონია |
| იუვენტუსი | : | ფიორენტინა |
| ლივორნო | : | ლაციო |
| მესინა | : | პალერმო |
| პარმა | : | რეჯინა |
| რომა | : | უდინეზე |
| სამპდორია | : | კალიარი |
| სიენა | : | ლეჩე |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 10 | 8 | 1 | 1 | 21:4 | 25 |
| მილანი | 10 | 6 | 3 | 1 | 16:7 | 21 |
| ლეჩე | 10 | 4 | 3 | 3 | 23:19 | 15 |
| უდინეზე | 10 | 4 | 3 | 3 | 14:11 | 15 |
| მესინა | 10 | 4 | 3 | 3 | 16:16 | 15 |
| ინტერი | 10 | 2 | 8 | 0 | 18:15 | 14 |
| ფიორენტინა | 10 | 3 | 5 | 2 | 11:8 | 14 |
| კალიარი | 10 | 4 | 2 | 4 | 12:15 | 14 |
| რომა | 10 | 3 | 4 | 3 | 19:17 | 13 |
| ლაციო | 10 | 3 | 4 | 3 | 11:10 | 13 |
| სამპდორია | 10 | 4 | 1 | 5 | 8:8 | 13 |
| კიევო | 10 | 3 | 4 | 3 | 7:10 | 13 |
| ლივორნო | 10 | 3 | 3 | 4 | 10:13 | 12 |
| ბრეშა | 10 | 4 | 0 | 6 | 10:16 | 12 |
| ბოლონია | 10 | 3 | 2 | 5 | 10:12 | 11 |
| პალერმო | 10 | 2 | 5 | 3 | 7:9 | 11 |
| რეჯინა | 10 | 2 | 4 | 4 | 8:11 | 10 |
| სიენა | 10 | 2 | 4 | 4 | 6:13 | 10 |
| პარმა | 10 | 1 | 5 | 4 | 11:17 | 8 |
| ატალანტა | 10 | 0 | 6 | 4 | 11:18 | 6 |

**სანამ** „ფიორენტინა“ ფიორენტინობდა, „იუვენტუსის“ და ფლორენციელების დაპირისპირება გახლდათ იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენა. შემდეგ „იები“ გაკოტრდნენ, დაიშალნენ, თავიდან შეიქმნენ, სერია C 1-დან დაიწყეს და აი, წლეულს, „ბებერი ქალბატონი“ „იების“ წინაალმდეგ ისევ ძალაშია. თუმცა ეს ძალა რამდენად დიდია, სწორედ რომ შესამოწმებელი გახლავთ.

გავიხსენოთ სხვა მრავალთა შორის გამორჩეული ერთი ასეთი ისტორიაც: 1990 წელს „იუვენტუსმა“ „ფიორენტინასგან“ რობერტო ბაჯო იყიდა. მაშინ ფლორენციაში ლამის გაგიჟდნენ, მაგრამ უფრო თანამედროვე ამბებს თუ გადავხედავთ, მშვიდობისმოყვარე ადამიანების დასაწყნარებელ მაგალითებსაც ვნახავთ. კერძოდ, ანჯელო დი ლივიო, რომელიც ერთხანს „ფიორენტინას“ კაპიტანიც კი იყო, მანამდე „იუვენტუსის“ ვარსკვლავი გახლდათ. დღეს „ბებერი ქალბატონის“ წინაალმდეგ ითამაშებენ სულ ცოტა ხნის წინ ტურინელები, ენცო მარესკა და ფაბრიციო მიკოლი...

„ვოცნებობ ბუფონისთვის ბურთის თავზე გადაგდებაზე — უთხრა მიკოლიმ TG 5-ის კორესპონდენტს — შედეგი გამოვიცნო წინასწარ? ჩვენ 2:1-ს მოვიგებთ. ისე, ტურინელებმა გასულ ზაფხულს კარგი ტრანსფერები განახორციელეს, რომელთაგან ყველაზე წარმატებული მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს ყიდვა იყო. იმედი მაქვს, „დელე ალპიზე“ უფრო იღბლიანები აღმოვჩნდებით, ვიდრე წინა ტურში „ინტერთან“ 1:1-ის დროს ვიყავით, როდესაც ჩემი დარტყმული მილანელთა ძელმა აისხლიტა“.



დღეს ფაბრიციო მიკოლი ალესანდრო დელ პიეროს მოედანზე შეხვდება

„ინტერს“ კი მართლა არ აქვს საქმე კარგად. შეიძლება ითქვას, ათი თამაშიდან რვა ფრის შემდეგ უკვე მწვრთნელის, რობერტო მანჩინის პასუხისმგებლობა იწევს წინ.

მანჩო, მოგეხსენებათ, დისკვალიფიცირებულია, კვლავ ტრიბუნაზე, მოედნიდან შორს იჯდება და იქიდან შეხედავს „შავ-ლურჯი“ ქვეშევრდომების დაპირისპირებას გუნდთან, სადაც ოდესღაც, სიყმაწვილეში პირველი ნაბიჯები გადადგა. ინტერელთაგან დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა ხუან სებასტიან ვერონს, სამაგიეროდ, დისკვალიფიცირებულია დეიან სტანკოვიჩი. კრისტიან ვიერის კი ძალიან უნდა თამაში, მაგრამ, სავარაუდოდ, სასტარტო შემადგენლობაში ადრიანო და ობაფემი მარტინსი იქნებიან.

„ბოლონიას“ მარტის (!) შემდეგ თამაში არ ჰქონია, გოლი რომ არ გაეშვა, მაგრამ ერთი თვისება აქვს გამოკვეთილი, არავის ეპუება.

ხოლო ჩემპიონ „მილანს“ მთავარი მეგოლე, ანდრეი შევჩენკო არ ეყოლება და ისე ითამაშებს ბრეშაში, „სტადიო რიგამონტიზე“. მილანელებზე სჯობს ყურადღებას ნულარ გავამახვილებთ, რადგან იგივეს გამეორება გამოგვივა, რაც ბოლო დღეებში უკვე ვთქვით — წინა ტურში „იუვენტუსთან“ სხვაობის ორ ქულამდე შემცირების დიდი შანსი გაუშვა ხელიდან, როდესაც კრიზისში მყოფ „რომას“ შინ, „სან სიროზე“ ვერ მოუგო. მერედა, თავი იჩინა ერთმა სიმპტომმა — სანამ შევჩენკო მოედანზე იყო, „შავ-წითლები“ იგებდნენ, ხოლო როგორც კი უკრაინელი დაშავდა, გოლი გაუშვა, თვითონ კი მეორე ველარ შეაგდო.

სავარაუდო შემადგენლობათა შემდგენი იტალიელი ჟურნალისტები კახა კალაძეს კვლავ სათადარიგოთა სკამზე გვპირდებიან, ხოლო უშევჩენკო „მილანზე“ ამბობენ, რომ მის თავდასხმას ტომასონი და კრესპო დაეპატრონებიან — ეს იოლი გამოსაცნობიცაა, რადგან კარლო ანჩელოტის კლუბის პრეზიდენტისგან, სილვიო ბერლუსკონისგან მუდამ ორი თავდამსხმელით თამაში აქვს დავალებული.

# მოცარტი და მისი მართალი კოდო

**მოცარტი** რეაბილიტირებულია — „რეჯინას“ კაპიტანი, რომელმაც შაბათს, „იუვენტუსთან“ შეხვედრა გამოტოვა, დღეს „პარმასთან“ ჩვეულებრივ იქნება მოედანზე. აქვე შეგახსენებთ „იუვენტუსთან“ თამაშის გამოტოვების მიზეზს: ოქტომბერში „მილანთან“ ნათამაშევი მატჩის შემდეგ ჩატარებულმა დოპინგ-კონტროლმა ბრაზილიელის ორგანიზმში აკრძალული ბეტამეტაზონი აღმოაჩინა. ერთი სიტყვით, ბრაზილიელი მოცარტი თითქოს დოპინგის სმაში იყო მხილებული, მაგრამ ორშაბათს, წარმატებით შედგენილ-შეტანილმა აპელაციამ ფეხბურთელი გაამართლა.



მოცარტი მართალია

გუშინაც მოგახსენებდით, რომ მოცარტი დოპინგ-ბრალდებამ საოცრად ალაშფოთა. მან განაცხადა, რომ ყოველთვის ცდილობს სხვათათვის სამაგალითო იყოს და ამიტომ ლაბორატორიის დასკვნებს გაოგნებული ხვდება, თუმცა ისიც დააყოლა, რომ იმ თუ წინა დღეს თავის სამი წლის გოგონას კოლოს ნაკბენის საწინაალმდეგო კრემი წაუსვა და ბეტამეტაზონიც, ალბათ, ამიტომ აღმოჩნდა მის ორგანიზმში — როგორც ირკვევა ამ ნივთიერბას ბევრი გავრცებული პროდუქტი შეიცავს.

„ფანტასტიკური ცნობა მოვიდა — ეწერა გუშინ „რეჯინას“ საინტერნეტო ვებ-გვერდში მოცარტის ამოძახილი — კოშმარი გადავიტანე, ახლა კი შემიძლია უკვე მხოლოდ „პარმასთან“ თამაშზე ვიფიქრო. ერთი სული მაქვს, როდის გავალ მოედანზე.“

**პაპუნა კედია**





ანდრეი შევჩენკოს ალბერტო ჯილარდინო ვერ შეცვლის

*„მილანმა“, რომელსაც ბოლო ტურში ანდრეი შევჩენკო დაუშავდა მსუბუქად, განაცხადა, რომ იანვარში „პარმადან“ ალბერტო ჯილარდინოს ყიდვას არ შეეცდება. არადა, ამ თემაზე იტალიელ გულშემატკივართა წრეებში ბოლოხანს ხშირად ლაპარაკობდნენ*

# მისია შეუძლებელია

„კატეგორიულად უარვყოფ ჯილარდინოს შესაძლო ყიდვის ამბავს — განაცხადა „შავ-წითლების“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ — მით უფრო, რომ ძალიან მეეჭვება, „პარმას“ ჰქონდეს ამ თავდამსხმელის გაყიდვის თუნდაც სულ მცირე სურვილი. როგორ წარმოგიდგენიათ დღევანდელი „პარმა“ ჯილარდინოს გარეშე? მთელი ეს სცენარი უბრალოდ შეუძლებელია“.

ზემოთ ანდრეი შევჩენკოს ტრავმა ვახსენეთ. ამას დავამატოთ ფილიპო ინძაგი, რომელმაც კოჭზე ოპერაცია გაიკეთა და თებერვლამდე მოედანს ვერ დაუბრუნდება და იონ დალ ტომასონისა და ერნან კრესპოს გაწელილი ცუდი ფორმა, რის შემდეგაც გასაგები გახდება თუ რატომ ალაპარაკდნენ ჯილარდინოზე უფრო მეტად.

გალიანიმ კი გულშემატკივრები დაამშვიდა: „დარწმუნებული ვარ, კრესპო ძალიან მალე და კარგად ათამაშდება. ეს საკუთრივ ფეხბურთელსაც პირდაპირ ვუთხარი. მერედა, სულაც არ მგონია, რომ ის თავდამსხმელები, რომლებიც შეიძლება იანვარში ვიყიდოთ, კრესპოს ან ტომასონს სჯობიან. ერთი სიტყვით, 99 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ არაფერს არ შევცვლით, უბრალოდ ინძაგის გამოჯანმრთელებას დაველოდებით.“

ფაქტი კი ფაქტად რჩება — დღეს, „მილანის“ ერთადერთი მეგოლე ანდრეი შევჩენკოა, რომელმაც ამ სეზონში მილანელთა მიერ ყველა შეჯიბრებაში გატანილი 25 გოლიდან 13 მიითვალა.

**პაპუნა კედია**

*კოკაინის მყნოსავი ადრიან მუტუ თავის აგენტ ჯოვანი ბეკალის გაეყარა. რუმინელი ფეხბურთელი ბუქარესტში „ბეკალი ენდ პოპესკუს" სამენეჯერო ფირმას ეწვია და მასთან კონტრაქტი გაწყვიტა*




ადრიან მუტუს ფაბიო კაპელოსკენ გაუწევია



# მუტუმ პოპესკუს ბებერ ქალბატონთან უღალატა

ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, რომ პოპესკუ ახლო წარსულში ცნობილი გეორგე, „ჯიკა" პოპესკუ გახლავთ, რომელიც „ჩელსიდან" გაძევებულ მუტუს ორი კვირა თავს ევლებოდა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან საქმის გარჩევაში ეხმარებოდა. „მუტუ მოვიდა და გვითხრა, რომ ჩვენთან თანამშრომლობა აღარ სურს. მიზეზი კი არ დაუსახელებია — განაცხადა პოპესკუმ — მე პატივს ვცემ მის გადაწყვეტილებას და თუ კვლავ დაგვიბრუნდება, დავეხმარებით". „ბეკალი ენდ პოპესკუს" კლიენტები კრისტიან კივუ, ბოგდან ლობონტი, ფლორინ ჩერნატი და სხვა ცნობილი რუმინელი მოთამაშეები არიან.

რუმინული მედიის ცნობით, ადრიან მუტუ იტალიური სააგენტო GEA WORLD-ის კლიენტი გახდა და მასთან გააფორმა კონტრაქტი. ამ სააგენტოს პატრონი „იუვენტუსის" გენერალური დირექტორის, ლუჩანო მოჯის შვილი ალესანდროა. GEA WORLD-ი კი ალესანდრო ნესტას, დავიდ ტრეზეგეს, ჯანლუიჯი ბუფონისა და მარკო დი ვაიოს ინტერესებს იცავს. ზოგიერთი საინფორმაციო წყარო ამტკიცებს, რომ ადრიან მუტუმ „იუვენტუსთან" წინასწარ კონტრაქტს ხელი უკვე მოაწერა და მალე ოფიციალურად ამ გუნდის მოთამაშე გახდება, თავად ფეხბურთელმა კი გუშინ განაცხადა, კარიერას ინგლისში ან იტალიაში გავაგრძელებ, მაგრამ ჩემთვის ქვეყანა კი არა, კლუბია მთავარიო.

ნაკრების მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ მყნოსავს შეჰპირდა, დისკვალიფიკაციის ვადის გასვლამდე შენს ათნომრიან მაისურას ვერავინ ჩაიცმევსო.

**ვაჟა ხუციშვილი**




# ვენგერიც დაიბარეს

„მანჩესტერ" — „არსენალის" იმ ხმაურიანი მატჩის ექო ჯერაც არ მიმწყდარა, ახლა ფეხბურთის ასოციაციაში დაიბარეს „მეთოფეთა" მენეჯერი არსენ ვენგერი.

ასოციაციას გადაუწყვეტია ვენგერის საქმის განხილვა და მას მატჩის შემდგომი გამონათქვამებისთვის პასუხის მოთხოვნა.

იმ თამაშში რუუდ ვან ნისტელროიმ ვერაგულად ჩაწიხლა ეშლი კოული, რისთვისაც სამმატჩიანი დისკვალიფიკაციაც მიიღო.

ვენგერმა არა მხოლოდ ჰოლანდიელი გალანძღა, არამედ მატჩის არბიტრი მაიკ რაილიც, ჩვენს კარში პენალტი სულ ტყუილად დანიშნაო. თავის მხრივ, ალექს ფერგიუსონმა სამხილების მთელი ყუთი შეიტანა ასოციაციაში „არსენალის" წინააღმდეგ.

ვენგერს განსაკუთრებით ედავებიან გამონათქვამს: „ჩვენ ვიცით ვან ნისტელროის ხასიათი. ის თახსირია და თახსირულადაც იქცევა ხოლმე".

არსენ ვენგერი 23 ნოემბრამდე უნდა გამოცხადდეს ასოციაციაში.

**ირაკლი გამყრელიძე**

# რობსონმა მეტი აიღო



**ᲓᲦᲔᲡ** „ვესტ ბრომვიჩი" მენეჯერად 47 წლის ბრაიან რობსონს დანიშნავს. ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერის" ლეგენდარული კაპიტანი, შემდგომში „მიდლსბროსა" და ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი, კაპიტან-მართველად წოდებული, კარგა ხანს უმუშევარი იყო.

ახლა ის ორწელიწადნახევრიან კონტრაქტს გააფორმებს „ვესტ ბრომვიჩთან", რომელიც რობსონამდე გლენ ჰოდლს ელაპარაკებოდა, თუმც არაფერი გამოუვიდა. ჰოდლი მხოლოდ წლის ბოლომდე მუშაობას იყო ყაბულს, კლუბს კი მეტი უნდოდა. ამ მეტს კი რობსონი დათანხმდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ინგლისი

ჩემპიონატი. XVIII ტური

**ლესტერი 3:0 ქოვენთრი**

1:0 ნალისი (26), 2:0 ტიატო (45), 3:0 ჰითი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 18 | 11 | 6 | 1 | 35:13 | 39 |
| იფსვიჩი | 18 | 10 | 6 | 2 | 38:21 | 36 |
| რედინგი | 18 | 10 | 4 | 4 | 26:15 | 34 |
| სანდერლენდი | 18 | 9 | 4 | 5 | 25:15 | 31 |
| ვესტ ჰემი | 18 | 9 | 4 | 5 | 23:20 | 31 |
| ქუინზ პარკი | 18 | 9 | 3 | 6 | 28:23 | 30 |
| შეფილდი | 18 | 7 | 6 | 5 | 21:23 | 27 |
| დერბი | 18 | 7 | 5 | 6 | 27:24 | 26 |
| უოტფორდი | 17 | 6 | 7 | 4 | 23:17 | 25 |
| მილუოლი | 16 | 7 | 4 | 5 | 16:14 | 25 |
| პლიმუთი | 18 | 7 | 4 | 7 | 25:24 | 25 |
| ლესტერი | 18 | 5 | 9 | 4 | 22:18 | 24 |
| სტოკი | 18 | 6 | 6 | 6 | 14:16 | 24 |
| პრესტონი | 18 | 6 | 4 | 8 | 23:27 | 22 |
| ლიდსი | 17 | 5 | 6 | 6 | 16:16 | 21 |
| ბარნლი | 18 | 4 | 9 | 5 | 15:18 | 21 |
| ვულვზი | 17 | 5 | 5 | 7 | 21:23 | 20 |
| კარდიფი | 18 | 4 | 7 | 7 | 20:24 | 19 |
| ქრიუ | 17 | 5 | 4 | 8 | 30:37 | 19 |
| ქოვენთრი | 18 | 4 | 7 | 7 | 23:31 | 19 |
| ბრაიტონი | 18 | 5 | 4 | 9 | 15:27 | 19 |
| ჯილინგემი | 18 | 4 | 3 | 11 | 15:30 | 15 |
| ნოტინგემი | 18 | 2 | 8 | 8 | 18:27 | 14 |
| როტერჰემი | 18 | 0 | 7 | 11 | 11:27 | 7 |

## ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XII ტური

**სპარტა 0:1 ბოლესლავი**

0:1 სედლაჩეკი (88)

**ბლშანი 1:0 ოპავა**

1:0 კრაიკოვიჩი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 12 | 9 | 2 | 1 | 26:9 | 29 |
| ტეპლიცე | 12 | 7 | 5 | 0 | 15:6 | 26 |
| სიგმა | 12 | 7 | 1 | 4 | 16:13 | 22 |
| ლიბერეცი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:6 | 21 |
| იაბლონეცი | 12 | 5 | 4 | 3 | 14:11 | 19 |
| სლავია | 12 | 5 | 3 | 4 | 12:10 | 18 |
| სლოვაცკო | 12 | 4 | 5 | 3 | 9:7 | 17 |
| ბანიკი | 12 | 4 | 5 | 3 | 15:16 | 17 |
| ბრნო | 12 | 4 | 3 | 5 | 11:15 | 15 |
| ზლინი | 12 | 3 | 5 | 4 | 11:15 | 14 |
| დრნოვიცე | 12 | 3 | 3 | 6 | 13:16 | 12 |
| ბლშანი | 12 | 3 | 3 | 6 | 7:13 | 12 |
| პრჟიბრამი | 12 | 3 | 2 | 7 | 11:21 | 11 |
| ოპავა | 12 | 2 | 4 | 6 | 13:18 | 10 |
| ბოლესლავი | 12 | 2 | 4 | 6 | 9:16 | 10 |
| ბუდეიოვიცე | 12 | 1 | 4 | 7 | 8:15 | 7 |

## პორტუგალია

სუპერლიგა. IX ტური

**პორტუ 3:0 სპორტინგი**

1:0 მაკკარტი (57), 2:0 დიეგო (80), 3:0 კარლოს ალბერტო (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 9 | 6 | 2 | 1 | 15:6 | 20 |
| პორტუ | 9 | 5 | 4 | 0 | 16:6 | 19 |
| ბოავიშტა | 9 | 5 | 2 | 2 | 11:6 | 17 |
| მარიტიმუ | 9 | 5 | 2 | 2 | 12:8 | 17 |
| სეტუბალი | 9 | 5 | 2 | 2 | 15:12 | 17 |
| ბრაგა | 9 | 4 | 3 | 2 | 13:10 | 15 |
| სპორტინგი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:11 | 14 |
| ეშტორილი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:13 | 12 |
| რიუ ავე | 9 | 2 | 6 | 1 | 9:9 | 12 |
| ლეირია | 9 | 3 | 3 | 3 | 11:12 | 12 |
| ბელენენსეში | 9 | 3 | 2 | 4 | 16:16 | 11 |
| ნასიონალი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | 11 |
| ბეირა მარი | 9 | 2 | 3 | 4 | 12:18 | 9 |
| გიმარაეში | 9 | 2 | 2 | 5 | 6:9 | 8 |
| აკადემიკა | 9 | 2 | 1 | 6 | 8:13 | 7 |
| მორეირენსე | 9 | 1 | 4 | 4 | 7:12 | 7 |
| პენაფიელი | 9 | 2 | 1 | 6 | 8:21 | 7 |
| ჟილ ვისენტე | 9 | 1 | 2 | 6 | 8:12 | 5 |

## იტალია

სერია B. XII ტური

**პესკარა 1:0 ემპოლი**

1:0 კალაიო (43)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 12 | 8 | 2 | 2 | 20:8 | 26 |
| ჯენოა | 12 | 6 | 5 | 1 | 27:13 | 23 |
| ტორინო | 12 | 7 | 2 | 3 | 16:9 | 23 |
| ასკოლი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:15 | 21 |
| ვერონა | 12 | 6 | 2 | 4 | 23:16 | 20 |
| პერუჯა | 12 | 5 | 4 | 3 | 17:12 | 19 |
| ვიჩენცა | 12 | 6 | 1 | 5 | 21:17 | 19 |
| პიაჩენცა | 12 | 6 | 1 | 5 | 18:18 | 19 |
| ალბინოლეფე | 12 | 5 | 3 | 4 | 19:16 | 18 |
| კატანია | 12 | 5 | 3 | 4 | 14:16 | 18 |
| ჩეზენა | 12 | 4 | 4 | 4 | 14:14 | 16 |
| არეცო | 12 | 3 | 6 | 3 | 21:17 | 15 |
| ტრიესტინა | 12 | 4 | 3 | 5 | 18:21 | 15 |
| ტერნანა | 12 | 4 | 3 | 5 | 13:17 | 15 |
| მოდენა | 12 | 5 | 2 | 5 | 12:13 | 13 |
| პესკარა | 12 | 3 | 4 | 5 | 12:17 | 13 |
| ბარი | 12 | 3 | 4 | 5 | 10:12 | 12 |
| კატანძარო | 12 | 3 | 3 | 6 | 14:19 | 12 |
| ვენეცია | 12 | 3 | 3 | 6 | 10:15 | 12 |
| ტრევიზო | 12 | 3 | 3 | 6 | 13:19 | 12 |
| კროტონე | 12 | 2 | 3 | 7 | 10:18 | 9 |
| სალერნიტანა | 12 | 1 | 4 | 7 | 7:24 | 7 |

*„მოდენას" დაკლებული აქვს 4, „ბარის" 1 ქულა*

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XII ტური

**დუისბურგი 1:0 ალემანია**

1:0 ვან ჰუდტი (42)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 12 | 8 | 2 | 2 | 22:14 | 26 |
| დუისბურგი | 12 | 8 | 1 | 3 | 18:12 | 25 |
| ფიურტი | 12 | 7 | 3 | 2 | 15:8 | 24 |
| ალემანია | 12 | 6 | 3 | 3 | 25:11 | 21 |
| ბურგჰაუზენი | 12 | 5 | 3 | 4 | 18:15 | 18 |
| ზაარბრიუკენი | 12 | 5 | 2 | 5 | 18:14 | 17 |
| ტრირი | 12 | 4 | 5 | 3 | 15:16 | 17 |
| უნტერჰახინგი | 12 | 5 | 1 | 6 | 18:17 | 16 |
| კოტბუსი | 12 | 4 | 4 | 4 | 12:12 | 16 |
| მიუნხენი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:18 | 16 |
| ალენი | 12 | 3 | 6 | 3 | 13:14 | 15 |
| აუე | 12 | 4 | 2 | 6 | 17:16 | 14 |
| აინტრახტი | 12 | 4 | 2 | 6 | 21:23 | 14 |
| კარლსრუე | 12 | 3 | 5 | 4 | 15:17 | 14 |
| ესენი | 12 | 2 | 5 | 5 | 18:24 | 11 |
| დინამო | 12 | 3 | 2 | 7 | 15:23 | 11 |
| ერფურტი | 12 | 2 | 5 | 5 | 5:16 | 11 |
| ობერჰაუზენი | 12 | 2 | 3 | 7 | 12:22 | 9 |

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XV ტური

**ანჟე 1:1 გენიონი**

1:0 დუსარი (4), 1:1 ბალეგი (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 15 | 9 | 2 | 4 | 24:15 | 29 |
| ბრესტი | 15 | 6 | 6 | 3 | 18:14 | 24 |
| გენიონი | 14 | 5 | 8 | 1 | 11:6 | 23 |
| სედანი | 15 | 6 | 5 | 4 | 12:12 | 23 |
| მონპელიე | 15 | 6 | 4 | 5 | 15:11 | 22 |
| ლე მანი | 15 | 6 | 4 | 5 | 17:15 | 22 |
| ამიენი | 15 | 6 | 4 | 5 | 18:17 | 22 |
| გრენობლი | 15 | 5 | 7 | 3 | 19:19 | 22 |
| ლავალი | 15 | 6 | 4 | 5 | 16:16 | 22 |
| კლერმონი | 15 | 5 | 6 | 4 | 21:16 | 21 |
| ტრუა | 14 | 6 | 3 | 5 | 20:18 | 21 |
| დიჟონი | 15 | 5 | 5 | 5 | 16:15 | 20 |
| შატორუ | 15 | 3 | 9 | 3 | 13:13 | 18 |
| გენგამი | 15 | 5 | 3 | 7 | 17:20 | 18 |
| ანჟე | 15 | 4 | 5 | 6 | 15:17 | 17 |
| ლორიანი | 15 | 5 | 2 | 8 | 18:23 | 17 |
| რეიმსი | 15 | 4 | 5 | 6 | 15:23 | 17 |
| ლე ავრი | 15 | 4 | 3 | 8 | 12:16 | 15 |
| კრეტეი | 15 | 4 | 3 | 8 | 15:20 | 15 |
| ნიორი | 15 | 5 | 0 | 10 | 16:22 | 15 |

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80




ფლორენტინო პერესმა ანტონიო კასანო იუარა

# არა, მე არ ვექახი...

*მადრიდის „რეალმა“ განაცხადა, რომ „რომასთვის“ ანტონიო კასანოსთან დაკავშირებით არ მიუმართავს, თუმცა დასძინა, რომ შესაძლოა, ზაფხულში მართლა გამოიჩინოს ინტერესი ამ თავდამსხმელისადმი*

„რომაელებთან ბოლოს მაშინ ვილაპარაკეთ, როდესაც ვალტერ სამუელი ვიყიდეთ, მას მერე კი უბრალო ურთიერთობაც არ გვქონია — უთხრა „სამეფო კლუბის პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა რადიო „ლა პოლიტიკა ნელ პალონეს“ — დიახ, „ჯალოროსისთან“ ჩინებულად ვთანამშრომლობთ. გვაქვს დიდებული ურთიერთობა „რომას“ დირექტორატის წევრებთან და თავად სენიორ სენსის ოჯახთან, მაგრამ ამჟამად მხოლოდ მიმდინარე ჩემპიონატზე ზრუნვით ვართ დაკავებულნი. ივნისში კი სხვა ამბავია, შესაძლოა, მართლა განვიხილოთ კასანოს საკითხი“.

აქ ორი სიტყვით გავიხსენოთ, რომ კასანოს ახალ სეზონში „რომას“ მწვრთნელებთან და ხელმძღვანელებთან ზღვარგადასულად ცუდი ურთიერთობა აქვს, ხოლო ბოლო ტურის წინ კლუბის შეფებმა ის უბრალოდ დასაჯეს — გუნდიდან გააძევეს, არ ათამაშებენ. სხვა საქმეა, რომ „რომას“ უჯობს ფეხბურთელი რაც შეიძლება მალე გაყიდოს, რადგან კონტრაქტით კასანო კლუბთან 2006 წლამდეა შეკრული, რაც იმას ნიშნავს, რომ 2006 წლის ზაფხულს ფეხბურთელი უბრალოდ დაიხურავს ქუდს და თავისუფალი აგენტის სტატუსით წავა.

„რეალის“ გარდა, ამბობენ, რომ ანტონიო კასანოს შეძენით დაინტერესებულნი არიან „იუვენტუსი“, „მილანი“ და „ჩელსი“.

**პაპუნა ქედია**

# რეალი ჰოლივუდში

## ბიჭებო, გინდათ კინო?

ინგლისის ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექემი მთავარ როლს შეასრულებს ფილმში „გოლი“. ფილმი ლოს ანჯელესიდან ინგლისში ჩასულ ფეხბურთელზე იქნება, რომელიც „ნიუკასლში“ თამაშობს. ბექემის გარდა როლები ზინედინ ზიდანსა და რაულსაც შეხვდათ




# სამეფო ლიგა იწყება

## ფეხბურთით არ გაიყინები

**შარშან** აგვისტოს, სკანდინავიის სამმა ქვეყანამ — დანიამ, შვედეთმა და ნორვეგიამ — საკუთარი, „სამეფო ლიგის“ შექმნა გადაწყვიტა და ამ ლიგის თამაშები ხვალ, 11 ნოემბერს დაიწყება. რამდენიმე ტური პირველ დეკემბრამდე ჩატარდება, შემდეგ კი შეისვენებენ და თებერვალში განაახლებენ. ფინალი 26 მაისსაა დანიშნული და გამარჯვებული მილიონ 890 ათას დოლარს მიიღებს.

„სამეფო ლიგის“ ორგანიზატორთა განცხადებით, ტურნირის მიზანი სკანდინავიის სამი ქვეყნის საკლუბო ფეხბურთის დონის ამაღლებაა. „ჩვენი გუნდები ევროპის ჩემპიონთა ლიგაში იშვიათად თამაშობენ და ჯგუფშიც თითო-ოროლა თუ მოხვდება. ამიტომ ზამთარში სახლში ჯდომას და გაყინვას ფეხბურთის თამაში ვარჩიეთ“ — თქვა ახალი ტურნირის დირექტორმა კლაუს როდემ, რომელიც დანიის ფეხბურთის ასოციაციის მეთაურია.

„სამეფო ლიგაში“ შვედეთის, ნორვეგიისა და დანიის ოთ-ოთხი საუკეთესო გუნდი ითამაშებს, ფორმატზე კი ჯერჯერობით ვერაფერს მოგახსენებთ.

**მაჟა ხუციშვილი**

# რა დროს რეალია?!

**მადრიდის** „რეალის“ მცდელობა, ბრაზილიური „სანტოსიდან“ რობინიო გადაიბიროს, შეჩერებულია — მოგეხსენებათ, ბოროტმოქმედებმა ახლახან რობინიოს დედა მოიტაცეს. არადა, „რეალი“ „სანტოსსა“ და მოთამაშის აგენტებს, ვაგნერ რიბეიროსა და ხუან ფიგერს თითქმის უკვე ურიგდებოდა. მადრიდელები ვაჭრობას უგებდნენ ისეთ კონკურენტებს, როგორებიც გახლავან „ბენფიკა“, „ჩელსი“, „ბარსელონა“ და „პსვ ეინდჰოვენი“. ამბობდნენ, რომ მოლაპარაკებული იყო თანხაც, რომელიც დაახლოებით 20 მილიონი დოლარის მიდამოებში ყოფილა და მომავალ ზაფხულს 20 წლის ვარსკვლავის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაბარგებასაც წინ თითქმის აღარაფერი ედგა, მაგრამ...

„რობერტო კარლოსმა და რონალდომ დამირეკეს და მკითხეს, რით შეეძლოთ რობინიოს დახმარება — უთხრა ჟურნალისტებს აგენტმა რიბეირომ — ადრე მათ აინტერესებდათ, რა უნდა დახვედროდა ახალგაზრდას მადრიდში, კმაყოფილი რომ დარჩენილიყო, მაგრამ დღეს, ბუნებრივია, ყოველგვარი მოლაპარაკებები შეჩერებულია.

დამირეკა რობინიომაც. იგი ტიროდა, მან დაწვრილებით მიამბო ყველაფერი, მაგრამ ისიც დასძინა, რომ უჯობს მე ესპანეთში დავრჩე და მოლაპარაკებების მომავალზე ვიზრუნო“.

**პაპუნა ქედია**



რობინიოს „რეალისთვის“ არ სცხელა

# სროლა სანტა კრუზში

**ბოლივიის** ნაკრების მეკარის, ლეონარდო ფერნანდესის ავტომობილი დაცხრილეს, მეკარე გადარჩა. ეს მოხდა გასულ კვირა საღამოს, ქალაქ სანტა კრუზში.

ფერნანდესი, რომელიც ამ ქალაქის გუნდ „ორიენტე პეტროლეროში“ თამაშობს, ტომით არგენტინელ თანაგუნდელთან, თანამოგვარე ლუკასთან ერთად მგზავრობდა. საჭესთან ბოლივიელი იჯდა, როცა მათ მოტოციკლეტით ორნი წამოეწივნენ, მათ ავტომობილს სამი ტყვია დაახალეს. ერთი მძღოლის მხარეს, საქარე მინას მოხვდა, ორი კი — უკანა კარს.

კვირასვე, დღისით, „ორიენტე პეტროლერომ“ შინ „ხორხე უილსტერმანთან“ 1:3 წააგო. ორივე ფერნანდესი გუშინწინ სანაკრებოდ გამოიძახეს. ბოლივიის ნაკრები 13 ნოემბერს გვატემალას ამხანაგურად ეთამაშება, ხოლო 17 ნოემბერს ბარანკილიაში კოლუმბიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გამართავს.

**მაჟა ხუციშვილი**



ლეონარდო ფერნანდესი

# მაიერმა კლინსმანი გააკრიტიკა



ზეპ მაიერი ოლივერ კანს გამოექომაგა

**მსოფლიოს** ჩემპიონმა, მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარეების მწვრთნელმა ზეპ მაიერმა კარლ-ჰაინც რუმენიგესგან დაწყებულ იურგენ კლინსმანის კრიტიკა გააგრძელა. მიუნხენურ „აბენდცაიტუნგთან“ ინტერვიუში მან განაცხადა: „ნაკრების მწვრთნელი თავისი უაზრო სტრატეგიით კანსა და ლემანს თრგუნავს. ასეთი მიდგომა მეკარეების შეცდომების ალბათობას ზრდის. ეს ხომ აბსურდია. იურგენ კლინსმანი ერიხ რიბეკს მაგონებს, რომელიც ბუნდესნაკრების თავკაცობისას ზუსტად ასე იქცეოდა, ამიტომაც დაასრულა თავისი მოღვაწეობა 24 მატჩში ათი მოგებით. იენს ლემანი ამ შემთხვევაში უპირატესობით სარგებლობს, რადგან ის ყოველთვის მეორე მეკარე იყო, ოლივერ კანი კი შიშობს, რომ არ შეცდეს და პირველობა არ დაკარგოს. შედეგად კანი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ექცევა, რის გამოც თამაშისას ცდება ხოლმე. კლინსმანის მოგონილი მეკარების შეჯიბრი ყველასთვის გასართობი გახდა, ასე გაგრძელება კი არ შეიძლება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ელბერი დანას მეორედ დაუწვა

## ოლა ბრაზილიელის ჯიბეში ჩაძვრება



**„ლიონის“** ბოსები ჯოვანი ელბერის დაჯარიმებას აპირებენ. საფრანგეთის ჩემპიონის ბრაზილიელი ლეგიონერი კლუბის დაუკითხავად გერმანიაში სამკურნალოდ წავიდა და ფრანგები გაანაწყენა.

ელბერი აგვისტოში, „მეცი“ — „ლიონის“ მატჩისას დაშავდა და გუნდს ნახევარი წლით გამოაკლდა. ერთ-ერთ ფრანგულ კლინიკაში ბრაზილიელის ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. „ლიონის“ ექიმის აზრით, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა და მისი ვარაუდით, ფეხბურთელი მარტისთვის გამოჯანმრთელდებოდა. ჯოვანი ელბერმა კი ოქტომბრის ბოლოს დაჰკრა ფეხი და გერმანიაში ნაცნობ მკურნალს ჩააკითხა, რომელმაც ოპერაცია ხელმეორედ გაუკეთა.

„ეს დაუშვებელია — განრისხდა კლუბის პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა — მეორე ოპერაცია აუცილებელი არ იყო. თან ჩვენ პროფესორ ბერნარ მოიენის კლინიკასთან კონტრაქტი გვაკავშირებს და „ლიონის“ ყველა ფეხბურთელი მასთან მკურნალობს. ელბერმა კონტრაქტი დაარღვია და სამაგალითოდ დავსჯით“.

„ელბერის საქციელი ჩემთვის გაუგებარია — განაცხადა მოიენმა — მის გამოჯანმრთელებას პირადად მე ვაკონტროლებდი და ყველაფერი წესრიგში იყო. ის კი უეცრად გერმანიაში საოპერაციოდ გაიქცა. როგორც ექიმი, შეურაცხყოფილი ვარ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფაულერს პოლიცია მიაკითხა

**„მანჩესტერ სიტის“** ფორვარდი რობი ფაულერი შესაძლოა, პროვოკაციული საქციელისთვის დასაჯონ. გასულ კვირას, მანჩესტერულ დერბიში ფაულერი სათადარიგო იყო და შეცვლაზე შევიდა. სანამ სკამზე იჯდა, მასპინძელთა ფანებმა ლანძღეს. ფეხბურთელმა ითმინა, მაგრამ მერე მიუბრუნდა მათ და ხელების პრანჭვა-გრეხვით შეურაცხყოფითვე უპასუხა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გამოძიება უკვე დაიწყო და ამ საქმეში მანჩესტერის პოლიციაც ჩაერთო, რომელიც რობი ფაულერს გულშემატკივრებში არეულობის პროვოცირებას აბრალებს.

„მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელმა კევინ კიგანმა ნამატჩევს განაცხადა, ჩემი ფეხბურთელი თავისი წარსულის გამო გამოლანძღეს, რობი „ლივერპულში“ და „ლიდსში“ თამაშობდა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანები კი ამ ორ გუნდს ვერ იტანენო.

**ვაჟა ხუციშვილი**



## ფეხბურთის რუკასთან

**სენეგალელმა** ნახევარმცველმა ხალილუ ფადიგამ საბოლოოდ გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება. შეგახსენებთ, დაახლოებით ორი კვირის წინ ფეხბურთელს მეორე ოპერაცია ჩაუტარეს გულზე და სპეციალური დანადგარიც ჩაუდგეს. ზოგიერთი ექიმი მას ფეხბურთიდან წასვლას ურჩევს, მაგრამ თავად ფადიგა სხვაგვარად ფიქრობს: „გარანტია მომცეს, რომ უცაბედი სიკვდილი არ მემუქრება. ერთადერთი, რამაც შეიძლება გული გამიჩეროს, საავტომობილო ავარიაა“ — აღნიშნა 29 წლის აფრიკელმა.

**რუსეთის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი, რომელიც თითქოსდა დღე-დღეზე უნდა გადამდგარიყო, პოსტზე რჩება. ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: „ბატონი კოლოსკოვის უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ, იგი კომიტეტთან შექმნილ სიტუაციაზე იმსჯელებს, კრიზისიდან გამოსვლის გზა ერთად უნდა ვიპოვოთ“. გარდა ამისა, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლეონიდ ტიაგაჩევმა უარყო ხმები, თითქოს იგი ფეხბურთის ფედერაციაში ცვლილებებით არის დაინტერესებული.

**ლატვიის** ნაკრების თავკაცი რიგის „სკონტოს“ ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი იურის ანდრეევსი გახდება. როგორც იცით, ალექსანდრს სტარკოვსი უკვე მოსკოვის სპარტაკის“ წვრთნის და 17 ნოემბერს ლიხტენშტაინთან მატჩი შემდეგ საბოლოოდ დატოვებს ეროვნულ ნაკრებს. სტარკოვსის შემცვლელად სხვა კანდიდატურა არც განიხილება. ანდრეევსს თანამდებობაზე ოფიციალურად დეკემბრის პირველ რიცხვებში დაამტკიცებენ.

**ესპანური** „რეალის“ ინგლისელმა ნახევარმცველმა დევიდ ბექემმა და კლუბის არგენტინელმა ახალწვეულმა ვალტერ სამუელმა ვარჯიში განაახლეს. ფეხბურთელები დიდი მონდომებით ირჯებიან, რათა 20 ნოემბერს „ბარსელონასთან“ მატჩისთვის მომზადება მოასწრონ. შეგახსენებთ, რომ ბექემს 9 ოქტომბრის მერე არ უთამაშია, ხოლო სამუელი დაახლოებით ორი კვირაა, რაც ტრავმირებულია.

**გერმანული** „ვოლფსბურგის“ არგენტინელი ლეგიონერი ანდრეს დალესანდრო ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ფეხბურთელმა „ნიურნბერგთან“ მატჩში მე-8 წუთზე წითელი ბარათი მიიღო, რადგანაც მეტოქის უხეშობით გაბრაზებული მას ანგარიშის გასასწორებლად ეკვეთა. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა სამხრეთ ამერიკელ ლეგიონერს თავისი საქციელისთვის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია არ აკმარა და სასჯელი გაუორმაგა.

**ლიტვური** „ეკრანასი“ ეროვნული ჩემპიონატიდან მოხსნეს. ქალაქ პანევეჟისის კლუბს თამაშების ჩაწყობაში ადანაშაულებენ. ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ აძერხებდა „ეკრანასი“ ამას, თუმც, სავარაუდოდ, საქმეში მსაჯები და სხვა კლუბების ფეხბურთელები იქნებიან გარეული. არ არის გამორიცხული, ამ ამბავს კიდევ რომელიმე კლუბი ან პიროვნება შეეწიროს. ჯერჯერობით ისიც უცნობია, მისცემენ თუ არა „ეკრანასს“ რომელიმე ქვედა ლიგაში თამაშის უფლებას.

**ესპანური** „ოსასუნას“ ავსტრალიელმა ფორვარდმა ჯონ ალოიზიმ გასულ უქმეებზე მუხლი დაიზიანა და დაახლოებით ერთი თვე ვერ ითამაშებს. შესაბამისად, იგი სულ ცოტა პრიმერადივიზიონის ოთხ შეხვედრას და ეროვნული ნაკრების ნორვეგიასთან გასამართ ამხანაგურ მატჩს გამოტოვებს. პამპლონელი ექიმების თქმით, კლუბის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ერთი კვირა საერთოდ არ უნდა გაეკაროს ბურთს, ხოლო შემდეგ სპეციალური პიოგრამით დაიწყებს ვარჯიშს.

**იტალიური** „მილანი“ სანტიაგო სოლარის შეძენას აპირებს. „შავ-წითელთა“ აზრით, მადრიდელთა არგენტინელი ნახევარმცველი 33 წლის სერჟინიოს ღირსეული შემცვლელი იქნება. სოლარის გადაბირება უნდოდა მეორე მილანურ კლუბ „ინტერსაც“, მაგრამ „ნეროაძურის“ რიგებში გადასვლა თავად ფეხბურთელმა არ ისურვა. „სამეფო კლუბი“ სოლარის 5 მილიონ ევროდ აფასებს.

**იტალიური** „ინტერი“ კვლავინდებურად თავისი მოსისხლე მეტოქის, „მილანის“ კარის დარაჯ კრისტიან აბიატით არის დაინტერესებული. „შავ-წითელთა“ თავკაც კარლო ანჩელოტის თავისი გოლკიპერის სანაცვლოდ ემრე ბელოზოღლუ მოუთხოვია, მაგრამ რობერტო მანჩინი თურქი ლეგიონერის დათმობის არ აპირებს. „ინტერი“ ემრეს ნაცვლად ხულიო რიკარდო კრუზის დათმობაზეა ყაბულს, თუმც მილანური კლუბები ჯერჯერობით ვერ თანხმდებიან.

**ჰოლანდიური** „აიაქსის“ ამერიკელმა ნახევარმცველმა ჯონ ობრაიენმა სერიოზული ტრავმა მიიღო. ფეხბურთელი გასულ უქმეებზე „ტილბურგთან“ მატჩში დაშავდა და ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, თუ რამდენი ხნით ჩამოშორდა ფეხბურთს. თუმცა ექიმების ვარაუდით, მას 1-2 თვე მკურნალობა მოუწევს. შესაბამისად, ობრაიენი ამსტერდამელებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ მატჩებში ვერ დაეხმარება და ჰოლანდიის ჩემპიონატის მატჩებსაც გამოტოვებს.

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები
# ხოსე ლუის ჩილავერტი




## ჩილას შავ-თეთრი ცხოვრება
### მე ის კაცი ვარ, ვინც უყვართ ან სძულთ

სხვადასხვა დონის ჩემპიონატებში ორმოცდაათზე მეტი გოლი აქვს გატანილი, არადა, თავდამსხმელობას ვინ ჩივის, ნახევარმცველიც... მცველიც კი არ არის. კიდევ, რამდენიმე პირადი რეკორდი ეკუთვნის. ეს ის რეკორდებია, რომელთა დამხობამდე ჯერ, ალბათ, დიდი დროა. მისი სახელია ხოსე ლუის ჩილავერტი. მან ამ ცოტა ხნის წინ ფეხბურთის თამაშს თავი დაანება...

ხოსე ლუის ჩილავერტი 1965 წლის 27 ივლისს ქალაქ ლუკეში დაიბადა. ლუკე პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონიდან რვა კილომეტრშია. მამისი კატალინო სახელმწიფო დაწესებულებაში ბუღალტრად მუშაობდა და ცოლისა და ოთხი შვილის ნორმალურად შენახვას ახერხებდა — ტელევიზორი, შავ-თეთრიც კი, მაშინ სიახლე იყო და ჩილავერტების ოჯახს ის ჰქონდა. ოჯახს განსაკუთრებით ფეხბურთის ნახვა სიამოვნებდა.

ხოსე ლუისი ფეხბურთს განა მხოლოდ უყურებდა, ბიჭებთან ერთად ტრიალ მინდორზე თამაშობდა კიდეც, მაგრამ ერთი მინუსი ჰქონდა ამ ყველაფერს, გავიდოდნენ თუ არა მინდორზე ბურთის გასაგორებლად, მას ხელად კარისკენ მიუთითებდნენ.

14 წლის ხოსე ლუისი „სპორტივო ლუკენიოში“ მივიდა, სადაც მისი ძმები, ხულიო სესარი, ჯონი და როლანდო თამაშობდნენ. მწვრთნელმა ახალმისულს შეხედა და ჰკითხა, სად ითამაშებო. ახალმისული წამით გაჩუმდა, დაფიქრდა და საითაც ნაჩვევი იყო იქით გაეშურა.

...ჩიტავერტი „სპორტივო ლუკენიოს“ ძირითად შემადგენლობაში პირველად 15 წლისა მოხვდა, თუმცა, რომ გითხრათ, იქ დამკვირდაო, მოგატყუებთ. შემდეგ უნივერსიტეტში, ეკონომიკურზე შევიდა და ორ ფრონტზე ისე ილლებოდა, რომ კინალამ დაანება ფეხბურთს თავი, თუმცა ყველამ ვიცით, რომ არ დაუნებებია და 18 წლისა უკვე ნამდვილი მეკარე იყო.

„მახსოვს „სოლ დე ამერიკასთან“ თამაშის საღამო. ჩვენ 3:1 მოვიგეთ, იმ შეხვედრაში „სპორტივო ლუკენიოს“ კარს მე ვიცავდი, რისთვისაც მწვრთნელს, პედრო ფერნანდესს ახლაც დიდ მადლობას ვუხდი. იმ თამაშს მთელი ჩემი ოჯახი დაესწრო, ბაბუამ კი მატჩის შემდეგ მითხრა, დიდი მომავალი გელისო. მეტს ბაბუა ველარ მოესწრო, იმ კვირასვე გარდაიცვალა...“



შემდეგ ჩილავერტი „გუარანიში“ გადავიდა და პარაგვაის ჩემპიონი გახდა, ხოლო იქიდან არგენტინის გზას გაუდგა — „სან ლორენსოს“ მაშინ ბორა მილუტინოვიჩი წვრთნიდა. სწორედ იქ ისწავლა ხოსე ლუისმა საჯარიმოების დარტყმა. თურმე თვით მილუტონოვიჩს ეჯიბრებოდა ვარჯიშებზე და, როგორც მწვრთნელი ამბობს, აგებდა, რადგან მისგან განსხვავებით „ცალფეხა“ იყო.

„ღმერთმა დიდი ტანით და მხოლოდ 39 ზომის ფეხით დამაჯილდოვა, რაც დარტყმის სიზუსტეს მიზრდიდა“ — ამბობდა ჩილავერტი და მართალიც იყო. მსოფლიო ფეხბურთში ბევრ დიდ „მოჯარიმეს“ ჰქონდა პატარა ფეხი.

ცნობისთვის: ჩილავერტი, ვარჯიშზე ათი ჯარიმიდან ორს ძელს არტყამდა, დანარჩენი კი გოლი იყო. და კიდევ, „სან ლორენსოში“ თამაშის დროს ხოსე ლუისმა გაიცნო მარსელა, ინგლისურის მასწავლებელი, რომელიც დღემდე გვერდით ჰყავს. ამბობენ, სიყვარულში გამოსატყდომად „ბულდოგს“ დიდი დრო და ტუჩების კვნეტა დასჭირდა, რადგან საშინლად მორცხვი იყოო. თურმე საათობით იდგა და უყურებდა ერთ-ერთ კორტზე მარსელა ჩოგბურთით როგორ ირთობდა თავს.

1988 წელს ჩილავერტი ესპანეთში, „სარაგოსაში“ გადაბარგდა... და როგორ გადაბარგდა ისევე გადმობარგდა. სამაგიეროდ, გაიცნო მწვრთნელი ოტავიო ბიანკი, რომელმაც მომდევნო წელიწადს არგენტინულ „ველეს სარსფილდში“ მიიწვია, სადაც კარიერის ათი დიდებული სეზონი გაატარა და კიდევ, იმ შორეულ 88-ში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ეკვადორის ნაკრების წინააღმდეგ, ჩილავერტმა მეტოქე შუა თამაშის დროს მხოლოდ იმიტომ სცემა, რომ მან გოლი შეუგდო. აი, მაშინ გაჩნდა პირველი ეჭვი, რომ ყველაფერ სიკეთესთან ერთად ეს კაცი მთლად დალაგებული ვერ არის.

ახლა „ველესზე“: აქ გატარებული წლები ჩილას ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა. ამბობენ, რომ უპირველეს ყოვლისა, ამ წლებში მან საკუთარი თავის რწმენა შეიძინა, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ მისი საქციელი ხშირად უბრალოდ გამართლებელი იყო. რობერტო ბონანომ, მაშინ „რივერ პლეიტის“, შემდეგ კი „ბარსელონას“ მეკარემ ხოსე ლუისზე ასე თქვა: არასრულფასოვნების კომპლექსის ებრძვისო.

ერთი ნაღდია, ჩილავერტი ჟურნალისტებს, უფრო კი პაპარაცებს ებრძოდა.

„პრესა მე სხვებისავით ვერ წარმართავს. ზოგი ფეხბურთელი თვითონ ურეკავს ჟურნალისტებს და ინტერვიუს ჩამორთმევას ეხვეწება... იცით, რა პრობლემის წინაშე დგანან სენსაციაზე მომუშავე რეპორტიორები? იმის, რომ ვერასდროს მომიხელთებენ დისკოთეკაზე მთვრალს ან კაიფში. და იცით, რატომ ვეჩხუბები ზოგ მათგანს? იმიტომ, რომ ჟურნალისტს ჩემს გასანადგურებლად მთელი წელიწადი აქვს, მე კი მის გასანადგურებლად მხოლოდ ერთი წამი, მაგრამ იმასაც არ ვიზამდი, პროვოკაციას რომ არ მიწყობდნენ“.



არგენტინულმა პრესამ მართლაც ბევრჯერ სცადა ჩილავერტის ცხოვრებაში შეჭრომა, მაგრამ უშედეგოდ. თავად განსაჯეთ, სხვის სახელზე დარეგისტრირებული მისი მობილურის ნომერი „ველესის“ პრეზიდენტმა რაულ ვაბესმაც კი არ იცოდა. ცხადია, ეს ნომერი არ იცოდნენ მწვრთნელებმა, კარლოს ბიანკიმ და მარსელო ბიელსამაც.

„მე... მე ის კაცი ვარ, ვინც ან უყვართ ან სძულთ. ეს შავ-თეთრი ცხოვრებაა და მეტი არაფერი, მაგრამ მაინც კარგია, რომ ცხოვრება მრავალმხრივია და ყველას თავისი აზრი აქვს“.

**პაპუნა კედია**



# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. პირველი ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 50 | ფრაიბურგი-არმინია | 2.3 | 3.4 | 2.7 | 1.37 | 1.24 | 1.5 |
| 17:30 | 51 | ჰანოვერი-მაინცი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 17:30 | 52 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 2.7 | 3.4 | 2.3 | 1.5 | 1.24 | 1.37 |
| 17:30 | 53 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1.85 | 3.3 | 3.9 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 17:30 | 54 | შალკე-ჰერტა | 1.65 | 3.5 | 5.0 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 17:30 | 55 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 17:30 | 56 | ვოლფსბურგი-შტუტგარდი | 2.5 | 3.3 | 2.5 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 57 | ბოხუმი-ბაიერნი | 4.5 | 3.5 | 1.7 | 1.96 | 1.23 | 1.14 |
| 19:30 | 58 | ჰანზა-ჰამბურგი | 2.5 | 3.3 | 2.5 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | **გერმანია რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 345 | დორტმუნდი(მ)-ზტ.პაული | 1.85 | 3.3 | 3.6 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | **ავსტრია ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 364 | ბრეგენცი-შტურმი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 20:00 | 365 | გრაცერი-ადმირა | 1.3 | 4.5 | 8.3 | 1.0 | 1.12 | 2.91 |
| 20:00 | 366 | ზალცბურგი-აუსტრია | 4.3 | 3.6 | 1.65 | 1.95 | 1.19 | 1.13 |
| 20:00 | 367 | ტიროლი-მატერსბურგი | 1.75 | 3.5 | 4.0 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 368 | რაპიდი-პაშინგი | 1.85 | 3.3 | 3.7 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| | | **შვეიცარია სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:30 | 379 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 16:30 | 380 | იანგ ბოიზი-აარაუ | 1.8 | 3.2 | 4.2 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 18:00 | 381 | ციურიხი-სერვეტი | 1.9 | 3.1 | 3.9 | 1.17 | 1.27 | 1.72 |
| 18:00 | 382 | სტ.გალენი-თუნი | 2.5 | 3.1 | 2.6 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 18:15 | 383 | შაფჰაუზენი-ბაზელი | 4.6 | 3.3 | 1.7 | 1.92 | 1.24 | 1.12 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 59 | ბრეშა-მილანი | 5.5 | 3.4 | 1.6 | 2.1 | 1.23 | 1.08 |
| 22:30 | 60 | კიევო-ატალანტა | 1.8 | 3.0 | 4.8 | 1.12 | 1.3 | 1.84 |
| 22:30 | 61 | ინტერი-ბოლონია | 1.4 | 4.0 | 7.5 | 1.03 | 1.17 | 2.6 |
| 22:30 | 62 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.4 | 4.0 | 7.5 | 1.03 | 1.17 | 2.6 |
| 22:30 | 63 | ლივორნო-ლაციო | 2.4 | 2.9 | 3.0 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 22:30 | 64 | პარმა-რეჯინა | 1.85 | 3.0 | 4.4 | 1.14 | 1.3 | 1.78 |
| 22:30 | 65 | რომა-უდინეზე | 1.7 | 3.3 | 4.8 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 22:30 | 66 | სამპდორია-კალიარი | 1.7 | 3.1 | 5.3 | 1.09 | 1.28 | 1.95 |
| 22:30 | 67 | სიენა-ლეჩე | 2.4 | 3.1 | 2.8 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| | | **ბელგია. 1 დივიზიონი** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 455 | გენკი-გენტი | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 22:00 | 456 | ვესტერლო-მონსი | 1.75 | 3.4 | 4.4 | 1.15 | 1.25 | 1.91 |
| 22:00 | 457 | ბრიუსელი-ოსტენდე | 1.85 | 3.2 | 4.2 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 22:00 | 458 | მუსკრონი-შარლერუა | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 22:00 | 459 | ლოკერენი-ბევერენი | 1.8 | 3.4 | 4.0 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 22:00 | 460 | ლუვიე-სტ.ტრუიდენი | 1.6 | 3.7 | 5.0 | 1.11 | 1.21 | 2.12 |
| 22:30 | 461 | სტანდარტი-ანდერლეხტი | 2.9 | 3.3 | 2.2 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| 22:30 | 462 | სერკლი-ლიერსი | 2.0 | 3.3 | 3.4 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 23:00 | 463 | ბეერსხოტი-ბრიუგე | 5.2 | 3.6 | 1.6 | 2.12 | 1.22 | 1.1 |
| | | **ჰოლანდია პირველი დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 473 | დენ ჰააგი-როზენდალი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 21:30 | 474 | ჰერენვენი-ვიტესი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 475 | ბრედა-ალკმაარი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 21:30 | 476 | პსვ-ტილბურგი | 1.2 | 5.2 | 10.5 | 1.0 | 1.07 | 3.47 |
| 22:00 | 477 | ნაიმეგენი-ტვენტე | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 14:30 | 478 | აიაქსი-ფეიენოორდი | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 16:30 | 479 | გრონინგენი-დენ ბოსხი | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.09 |
| 16:30 | 480 | ვალვაიკი-გრააფსხაპი | 1.5 | 3.7 | 5.8 | 1.06 | 1.19 | 2.25 |
| 16:30 | 481 | უტრეხტი-როდა | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| | | **უნგრეთი** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:30 | 560 | ნირედიჰაზა-ვიდეოტონი | 2.4 | 3.0 | 2.6 | 1.33 | 1.24 | 1.39 |
| 15:30 | 561 | ტატაბანია-ზალაეგერსეგი | 2.6 | 3.0 | 2.4 | 1.39 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 | 562 | უიპეშტი-ჰონვედი | 1.4 | 3.7 | 6.3 | 1.01 | 1.14 | 2.33 |
| 18:00 | 563 | ვაშაში-დიოშდიორი | 1.65 | 3.2 | 4.4 | 1.08 | 1.2 | 1.85 |
| 18:00 | 564 | სოპრონი-ეტო | 2.2 | 3.0 | 2.9 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| 18:00 | 565 | კაპოშვარი-მტკ | 2.5 | 3.0 | 2.5 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 18:00 | 566 | ფერენცვაროში-პეჩი | 1.25 | 4.7 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 2.96 |
| 18:00 | 881 | ბეკეშჩაბა-დებრეცენი | 4.0 | 3.2 | 1.7 | 1.77 | 1.19 | 1.11 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 13:00 | 586 | ოიტა-ნაგოა | 2.45 | 3.0 | 2.55 | 1.34 | 1.24 | 1.37 |
| 13:00 | 587 | ნიიგატა-კაშივა | 1.85 | 3.3 | 3.6 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 607 | სან კაეტანო-პარანა | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 620 | კოკიმბო-კოლო კოლო | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 23:45 | 621 | ტემუკო-კობრელოა | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| | | **გერმანია თასი** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 627 | პადერბორნი-ფრაიბურგი | 3.2 | 3.3 | 2.0 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 21:00 | 628 | აალენი-ჰანზა | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 21:30 | 629 | აინტრახტი-შალკე | 4.3 | 3.4 | 1.7 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 22:30 | 630 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | **შოტლანდია თასი** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 669 | რეინჯერსი-სელტიკი | 2.3 | 3.3 | 2.6 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 22:45 | 670 | დანფერმლაინი-ჰართსი | 2.6 | 3.3 | 2.3 | 1.45 | 1.22 | 1.35 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ესპანეთი თასი** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 672 | ლანსაროტე-მალიორკა | 4.0 | 3.3 | 1.8 | 1.8 | 1.24 | 1.16 |
| 21:00 | 673 | ხირონა-ოსასუნა | 7.7 | 4.2 | 1.35 | 2.71 | 1.14 | 1.02 |
| 21:00 | 674 | პონტევედრა-ხეტაფე | 3.0 | 3.0 | 2.2 | 1.5 | 1.26 | 1.26 |
| 21:00 | 675 | ლეონესა-ბილბაო | 7.7 | 4.2 | 1.35 | 2.71 | 1.14 | 1.02 |
| 21:00 | 676 | კორდობა-ნუმანსია | 3.7 | 3.2 | 1.9 | 1.71 | 1.25 | 1.19 |
| 21:00 | 677 | გრამენეტი-ლევანტე | 5.5 | 3.8 | 1.5 | 2.24 | 1.17 | 1.07 |
| 21:00 | 678 | ლორკა-მალაგა | 5.5 | 3.8 | 1.5 | 2.24 | 1.17 | 1.07 |
| 21:00 | 679 | უელვა-ალბასეტე | 2.8 | 3.0 | 2.4 | 1.44 | 1.29 | 1.33 |
| 22:30 | 680 | ელჩე-დეპორტივო | 3.7 | 3.2 | 1.9 | 1.71 | 1.25 | 1.19 |
| 22:30 | 681 | კადისი-ბეტისი | 3.1 | 3.0 | 2.15 | 1.52 | 1.26 | 1.25 |
| 22:30 | 682 | მირანდესი-სოსიედადი | 7.3 | 4.3 | 1.3 | 2.7 | 1.1 | 1.0 |
| 22:30 | 683 | ვალიადოლიდი-რასინგი | 2.8 | 3.0 | 2.4 | 1.44 | 1.29 | 1.33 |
| 23:00 | 684 | ტერასა-ლეიდა | 2.4 | 3.0 | 2.8 | 1.33 | 1.29 | 1.44 |
| 23:15 | 685 | სიუდადი-სევილია | 5.0 | 3.5 | 1.6 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 23:45 | 686 | ტენერიფე-რეალი | 7.3 | 4.3 | 1.3 | 2.7 | 1.1 | 1.0 |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 687 | ტარაგონა-ატლეტიკო | 5.0 | 3.5 | 1.6 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:05 | 699 | რენი-ოსერი | 2.3 | 2.9 | 3.2 | 1.28 | 1.3 | 1.47 |
| | | **ჰოლანდია თასი** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 709 | ვეენდამი-ტილბურგი | 4.5 | 3.3 | 1.7 | 1.9 | 1.23 | 1.12 |
| 22:00 | 710 | დენ ბოსხი-ვიტესი | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 22:00 | 712 | ნაიმეგენი-ტვენტე | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| | | **ინგლისი. ლიგის თასი** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 718 | ნოტინგემი-ფულემი | 3.2 | 3.4 | 1.95 | 1.64 | 1.21 | 1.23 |
| 22:45 | 719 | ნიუკასლი-ჩელსი | 2.6 | 3.3 | 2.3 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 23:00 | 720 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.9 | 3.4 | 3.4 | 1.21 | 1.21 | 1.7 |
| 23:00 | 721 | მანჩესტერი-კრ. პალასი | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | **ნორვეგია პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 875 | ბოდიო გლიმტი-კონგსვინგერი | 1.4 | 4.5 | 5.5 | 1.06 | [illegible] | [illegible] |
| | | **სამხ. ამერიკის თასი** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 876 | სერო-ბოკა ხუნიორსი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 877 | სანტოსი-უნივერსიტარია | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 23:45 | 878 | ხუნიორი-ინტერნაციონალი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

CROCO BOOKMAKERS კროკო
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით
CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10059 | ბრეშა-მილანი | 5.2 | 2.2 | 2.1 | 1.54 | 1.49 | 1.07 |
| 10060 | კიევო-ატალანტა | 2.4 | 2.0 | 4.8 | 1.09 | 1.6 | 1.41 |
| 10061 | ინტერი-ბოლონია | 1.65 | 2.35 | 8.0 | 1.0 | 1.36 | 1.81 |
| 10062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.65 | 2.35 | 8.0 | 1.0 | 1.36 | 1.81 |
| 10063 | ლივორნო-ლაციო | 2.8 | 2.0 | 3.5 | 1.16 | 1.55 | 1.27 |
| 10064 | პარმა-რეჯინა | 2.4 | 2.1 | 4.3 | 1.12 | 1.54 | 1.41 |
| 10065 | რომა-უდინეზე | 2.1 | 2.2 | 5.2 | 1.07 | 1.49 | 1.54 |
| 10066 | სამპდორია-კალიარი | 2.2 | 2.05 | 5.4 | 1.06 | 1.56 | 1.48 |
| 10067 | სიენა-ლეჩე | 2.85 | 2.2 | 3.1 | 1.24 | 1.48 | 1.28 |
| 10068 | მესინა-პალერმო | 3.0 | 2.0 | 3.3 | 1.2 | 1.57 | 1.24 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14059 | ბრეშა-მილანი | 2.4 | 1.6 |
| 14060 | კიევო-ატალანტა | 1.7 | 2.2 |
| 14061 | ინტერი-ბოლონია | 1.3 | 3.0 |
| 14062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.8 | 1.8 |
| 14063 | ლივორნო-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 14064 | პარმა-რეჯინა | 1.7 | 2.2 |
| 14065 | რომა-უდინეზე | 1.65 | 2.3 |
| 14066 | სამპდორია-კალიარი | 1.65 | 2.3 |
| 14067 | სიენა-ლეჩე | 1.9 | 1.9 |
| 14068 | მესინა-პალერმო | 1.9 | 1.9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11059 | ბრეშა-მილანი | 10.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 | 3.5 | 25.0 | 12.0 | 2.2 |
| 11060 | კიევო-ატალანტა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11061 | ინტერი-ბოლონია | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.3 | 12.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 11062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.3 | 12.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 11063 | ლივორნო-ლაციო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 11064 | პარმა-რეჯინა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11065 | რომა-უდინეზე | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11066 | სამპდორია-კალიარი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11067 | სიენა-ლეჩე | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 11068 | მესინა-პალერმო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.2 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15059 | ბრეშა-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15060 | კიევო-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15061 | ინტერი-ბოლონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15063 | ლივორნო-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15064 | პარმა-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15065 | რომა-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15066 | სამპდორია-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15067 | სიენა-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15068 | მესინა-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13059 | ბრეშა-მილანი | 1.75 | 1.85 |
| 13060 | კიევო-ატალანტა | 1.65 | 1.95 |
| 13061 | ინტერი-ბოლონია | 1.95 | 1.65 |
| 13062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.9 | 1.7 |
| 13063 | ლივორნო-ლაციო | 1.95 | 1.65 |
| 13064 | პარმა-რეჯინა | 1.65 | 1.95 |
| 13065 | რომა-უდინეზე | 2.0 | 1.6 |
| 13066 | სამპდორია-კალიარი | 1.65 | 1.95 |
| 13067 | სიენა-ლეჩე | 1.6 | 2.0 |
| 13068 | მესინა-პალერმო | 1.65 | 1.95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12059 | ბრეშა-მილანი | 1.75 | 1.85 |
| 12060 | კიევო-ატალანტა | 1.65 | 1.95 |
| 12061 | ინტერი-ბოლონია | 1.9 | 1.7 |
| 12062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.8 | 1.8 |
| 12063 | ლივორნო-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 12064 | პარმა-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 12065 | რომა-უდინეზე | 1.9 | 1.7 |
| 12066 | სამპდორია-კალიარი | 1.8 | 1.8 |
| 12067 | სიენა-ლეჩე | 1.95 | 1.65 |
| 12068 | მესინა-პალერმო | 1.7 | 1.9 |

# რუსთავში და იმედი არა, რძე კი რამდენიც გინდა...

## კოტე ტულუში თეგას თავია



„მე და ვაკო ბეჟანიშვილს გაგვიმართლა, გუნდში რომ მოვეწყვეთ, თორემ ცოტაც რომ დაგვეგვიანა, ალბათ უკან მოგვიწევდა გამობრუნება" — გვითხრა ირანული „თეგას" ქართველმა გამთამაშებელმა კოტე ტულუშმა, როცა ჰამადანში შევეხმიანეთ. კოტეს ეს სიტყვები ირანული ჩემპიონატის ერთობ მაღალმა დონემ ათქმევინა, სადაც ისეთი შეძლებული კლუბები თამაშობენ, რომლებიც მხოლოდ წამყვანი საკალათბურთო ქვეყნებიდან იმატებენ ლეგიონერებს. ტულუშისა და ბეჟანიშვილის „თეგა" უმაღლესი ლიგის დებიუტანტია და თეირანის ბობოლებთან, რომლებსაც ამერიკელი და სერბი ლეგიონერები ჰყავთ, ჯერჯერობით ახლოსაც ვერ მივა. ამის მიუხედავად, ტულუში ბედით უკმაყოფილო არ ჩანს, ეგაა, მეტ თავისუფლებას ნატრობს, თუმც ბრძენკაცის ნათქვამიც კარგად ახსოვს — სადაცაა, იქაური ქუდი ახურავს...

— როგორც იქნა, კონტრაქტი გამიფორმეს და უკვე ერთი მატჩიც ვითამაშე, მანამდე კი ორი ტურის გაცდენა მომიხდა.

**— უკვე კარგა ხანია, მანდ ხარ და აქამდე რატომ არ გქონდა კონტრაქტი?**

— იმიტომ, რომ აქ ძალიან დაკვირვებული ხალხია, ირანელები კონტრაქტს ერთი შეხედვით არავის უფორმებენ. ჯერ კარგა ხანი გამოსაცდელ პერიოდს მოგცემენ და თუ გაამართლებ, გუნდშიც მერელა აგიყვანენ.

**— ეგეთი მკაცრი შერჩევა მხოლოდ მაგ გუნდშია, თუ-**

— არა, ყველგან ასეა, თეირანულ გუნდებში კი უარესია, იქ ძალიანაც რომ მდომებოდა, ვერ მოვხვდებოდი. დედაქალაქის გუნდები შეძლებულები და შესაბამისად ძლიერებიც არიან. თეირანში მხოლოდ ამერიკელს, სერბს, ხორვატს, ან სხვა რომელიმე წამყვანი საკალათბურთო ქვეყნის წარმომადგენელს თუ აიყვანენ გუნდში. თეირანულ კლუბებში უდიდესი კონკურენციაა და განაცხადებიც შევსებულია. ირანულ გუნდებს ორ ლეგიონერზე მეტის აყვანა არ შეუძლიათ.

**— თეირანულ კლუბებში არსებული მძაფრი კონკურენცია საკუთარ თავზე ხომ არ გამოგიცდია?**

— არა, მე პირდაპირ ჰამადანში ჩამოვედი, ვიცოდი, სადაც მოვდიოდი. „თეგას" წარმომადგენელი თეირანის აეროპორტში დამხვდა და ჰამადანში წამიყვანა. თეირანიდან სამი საათის სავალზე ვარ, მყუდრო და ლამაზი ქალაქია.

**— კლუბი როგორია?**

— „თეგა" ოცწლიანი პაუზის შემდეგ წლეულს დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას და ფავორიტად არ ითვლება. ირანის ჩემპიონატის პირველ ტურში დამარცხდა, ბოლო ორი მატჩი კი მოვიგეთ. უფროსობის მიზანი რვა საუკეთესო გუნდში, ანუ პლეი ოფში მოხვედრაა.

**— მწვრთნელები ალბათ გემადლიერებიან...**

— მე და ვაკო გუნდის ლიდერები ვართ, ისე, არც სხვები არიან სუსტები. აქ ლეგიონერი მხოლოდ ლიდერი უნდა იყოს, სხვაგვარად წარმოუდგენელია. თეირანული კლუბების ამერიკელი მოთამაშეები კი მართლაც ძლიერები არიან. ერთ-ერთი მათგანი გასულ წელს აზიის საუკეთესო კალათბურთელი გახდა.

**— თეირანში რამდენიმე ჩვენიანიც ხომ თამაშობს...**

— არმენ ოგანესიანი და ვახტანგ მინაშვილი თეირანში კი არიან, მაგრამ მათი გუნდი არცთუ ძლიერია და მხოლოდ თეირანის ჩემპიონატში თამაშობს. ზურაბ ჩუბინიძის გუნდი კი ორივეგან, ირანისა და თეირანის ჩემპიონატში გამოდის, თუმც არც ისაა ფავორიტი. ირანის საუკეთესო კლუბებში, როგორც უკვე ვთქვი, ქართველებს ალბათ არ აიყვანენ, იქ საკმაოდ მაღალი დონეა.

**— ჰამადანში როგორ მოეწყვე?**

— ირანის კვალობაზე საკმაოდ კარგად. „თეგა" იგივეა, რაც საქართველოში „სანტე", ან „ამალთეა". მოკლედ, ჩვენი კლუბის სპონსორი რძის პროდუქტების მწარმოებელია და სხვადასხვა ქალაქებში არაერთი ქარხანა აქვს. ერთ-ერთი ჰამადანშია და კლუბის ბაზაც ამ ქარხნის ტერიტორიაზეა. აქ დგას კოტეჯები, სადაც კომპანია „თეგას" თანამშრომლები ცხოვრობენ და ერთ-ერთი მე და ვაკოს გვიკავია. აქვეა სავარჯიშო დარბაზიც, ჩემპიონატის მატჩებს კი ჰამადანის ცენტრალურ არენაზე ვმართავთ.

**— ესე იგი, რძის ნაწარმი არ გაკლიათ...**

— ჰო, მაგრამ სხვა ბევრი რამე გვაკლია. აქ მხოლოდ სამი ირანული არხია, ამიტომ გადავწყვიტეთ, სატელიტური ანტენა გვეყიდა, რომ „რუსთავი 2"-ისა და „იმედისთვის" გვეყურებინა. სასტიკად აგვიკრძალეს, ანტენას თუ დააყენებთ პოლიციასთან გექნებათ საქმეო. გართობაც არ არის, გარეთ მხოლოდ მაღაზიების დასათვალიერებლად თუ გავალთ. დარბაზი და სახლი, ესაა ჩვენი დღის რეჟიმი, რომელიც არ გვინდა, დავარღვიოთ, რადგან ვიცით, როგორი ტრადიციების ქვეყანაშიც ვართ.

**ირაკლი პერტაია**

## სკიტას ჩემპიონთან ელიან



ნიკა დედასთან, ქალბატონ გულიკოსთან ერთად

ახალ სეზონში „დენვერ ნაგიტსმა" უკვე მეოთხე მატჩი გამართა, მაგრამ ჩვენებური ნიკოლოზ ცქიტიშვილი ჯერ განაცხადშიც არ გამოჩენილა. „სკიტას" მუხლი სტკიოდა, ერთხანს ქირურგიულ ჩარევაზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი გართულებების გარეშე დასრულდა და მომავალ მატჩში ცქიტიშვილი, სავარაუდოდ, დენვერელთა განაცხადში იქნება.

კვირას ცქიტიშვილმა ეულად წაივარჯიშა და როგორც დენვერელთა ერთ-ერთი მწვრთნელი სტივენ გილენი ამბობს, ქართველი ფორვარდი ოთხშაბათს გუნდთან ერთად ივარჯიშებს. „სკიტა" გუშინწინ „ნაგიტსს" სოლტ ლეიკ სიტიში ვერ გაჰყვა, რადგან დედამისი, ქალბატონი გულიკო დენვერში ოპერაციას იკეთებდა.

ასე რომ, ცქიტიშვილი ვარჯიშს უკვე შეუდგა და როგორც უფროსობა ამბობს, დაშავებულთა სიიდანაც დღე-დღეზე ამოწერენ. ხვალ „დენვერი" მოქმედ ჩემპიონ „დეტროიტს" მასპინძლობს და კოლორადოელი ჟურნალისტების ვარაუდით, ცქიტიშვილის სამსეზონო დებიუტსაც ამ მატჩში უნდა ველოდოთ.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ასი, ასი, ას[illegible]

## კირილენკომ ყველას დააფარა

— 8 ნოემბერი —

**იუტა 102:91 დენვერი**

იუტა: კირილენკო (24 ქულა, 6 მოხსნა, 5 დაფარება, 4 ჩაჭრა), ბელი (17), გორიჩეკი (14)

დენვერი: ენტონი (17), მარტინი (14), ბოიკინსი (13)

**კლიპერსი 96:99 დეტროიტი**

ძირითადი დრო 83:83

კლიპერსი: მეჯიტი (25 ქულა, 19 მოხსნა), ვილკოქსი (24), ბრენდი (21)

დეტროიტი: ბილაფსი (20), ჰამილტონი (20), რ. ვოლესი (18), ბ. ვოლესი (15 ქულა, 14 მოხსნა)

**დალასი 101:98 გოლდენ სტეიტი**

ძირითადი დრო 88:88

დალასი: ნოვიცკი (25 ქულა, 10 მოხსნა), ფინლი (17), ჰოვარდი (14 ქულა, 13 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (25 ქულა, 10 მოხსნა), ფიშერი (23), მერფი (15)

„იუტას" მწვრთნელმა ჯერი სლოუნმა ამასწინათ თქვა — გაბღენძილი ვარსკვლავები არ მჭირდებაო. მას არც ჰყავს ასეთები. მაგრამ ამის მიუხედავად, „ჯაზში" მაინც თამაშობს ერთი ვარსკვლავი — ანდრეი კირილენკოს შეიძლება, ისეთი შარავანდედი არ აკრავს, როგორიც, ვთქვათ, კობი ბრაიანტს ან ალენ აივერსონს, მოედანსგარეთაც არ ეხვევიან თაყვანისმცემლები, მაგრამ მოედანზე ის არავისზე ნაკლებ საქმეს არ აკეთებს და „იუტაც" თამაშს თამაშზე იგებს. მორმონთა გუნდის ანგარიშზე უკვე ოთხი დამაჯერებელი გამარჯვებაა არც ერთი მარცხის წილ.

კირილენკოს ამ ოთხ თამაშში ბლომად ქულებთან ერთად ბარე 26 დაფარება მოუგროვდა და მისი შიშით „ჯაზის" მეტოქეებს ფარქვეშ სასროლად ახტომისას გული უკანკალებთ — არ იციან, საიდან გამოფრინდება ეს გრძელხელება რუსი.

„იუტამ" უკვე მეორედ დაჯაბნა სეზონის დაწყებამდე სხვებზე მეტად რეკლამირებული „დენვერი", კირილენკომ კი 24 ქულასა და მოხსნა-ჩაჭრებთან ერთად 5 დაფარებითაც ასარგებლა თავისიანები. მისი და აგრეთვე მოედანზე გასული რვა თანაგუნდელის მეტ-ნაკლები შემწეობით „ჯაზმა" ამ მეოთხე თამაშშიც 100 ქულაზე მეტი მოაგროვა და თანდათან უახლოვდება საკლუბო რეკორდს.

ჯერი სლოუნს ჰკითხეს, როდემდე აპირებთ მეტოქეთა ასე რბევასო, რაზეც მან მიუგო — 100-ქულიანი თამაშები და ამის მომყოლი რეკორდები ნაკლებად მაინტერესებს. მთავარია, რომ ვიგებთ, მაგრამ რაკი გულშემატკივრებს ასე სურთ, უარს არ ვიტყოდი 100-ქულიანი სერიის გაგრძელებაზეო.

აღსანიშნავია, რომ წინა სეზონში „ჯაზმა" ოთხი თამაშიდან სამი დაუთმო „დენვერს" და სწორედ ამის გამო ვერ მოხვდა პლეი ოფში — 42 მოგება მოუგროვდა „დენვერის" 43-ის წილ. ახლა „იუტას" იმ გუნდისა არაფერი ეტყობა, რეგულარული სეზონის პლეი ოფში გაგრძელება დიდ ჯაფად რომ დაუჯდება.

საზოგადოდ, დასავლეთ კონფერენციაში ალბათ ისევ დიდი ომი ატყდება პლეი ოფისთვის. აქ სუსტი გუნდები თითქმის არ არიან და მარად ტანჯული „ლოს ანჯელეს კლიპერსიც" კი იმსახურებს პატივისცემას. ლოსანჯელესელებმა კვირას გვარიანად გააწვალეს ჩემპიონი „დეტროიტი". ისევ გაიბრწყინეს ჯეელმა ცენტრმა კრის ვილკოქსმა და ახალგაზრდა ვეტერანმა კორი მეჯიტმა. ამ უკანასკნელმა 25 ქულას კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 19 მოხსნაც მოაყოლა და მისიანებს ცოტა მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, „კლიპერსი" ჩემპიონს ყურებზე ხახვს დააჭრიდა. „დეტროიტმა" მეორე ოვერტაიმშიღა გატეხა კერკეტი მასპინძელი.

„გოლდენ სტეიტთან" შებმულ „დალასსაც" ოვერტაიმი დასჭირდა. დირკ ნოვიცკი და კომპანია პირველ ტაიმში 17 ქულითაც ჩამორჩნენ მათზე მსუბუქი წონის მეტოქეს და მარცხს ძლივს დააღწიეს თავი.

**კოტე ყორშია**




ანდრეი კირილენკო „დენვერის" კალათს არბევს

# აქ ფოსტალიონი ორჯერ აკაკუნებს

## ამერიკა კოვბოების ქვეყანაა

*„მე მესმის, რატომ ექცევა „ლეიკერსი“ კობის, როგორც ყველაზე ძვირფას განძს. ეს ბიჭი აგვისტოში 26 წლის ხდება. მას შეუდარებელი შესაძლებლობა აქვს, გარდატეხა შეიტანოს თამაშში, მაშინაც კი, როცა ეს თითქმის შეუძლებელია. თუმცა, აქვე უნდა გვახსოვდეს, კობი ჯერ ისევ საჭიროებს წვრთნას, რათა დაიხვეწოს და ზრდასრულ სპორტსმენად ჩამოყალიბდეს. რისი უნარიც, ვფიქრობ, რომ ნამდვილად შესწევს. კობი ისე მიდის აქედან, რომ ვერ შეძლო, სისტემის ნაწილი გამხდარიყო. შესაძლოა, ის მართლაც ყოფილიყო კალათბურთისთვის კიდევ ერთი ძვირფასი შენაძენი მაიკლ ჯორდანივით და მასავით ბევრი ჩემპიონატი მოეგო. მას ახლაც ჯერ კიდევ შეუძლია მოიგოს ერთი ან ორი, თუკი ეს დაქირავებული „ფეთქებადი იარაღი“ უმწიფარი გმირის იმიჯს ჩამოიშორებს.“*

**ფილ ჯექსონი**

როცა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლეგენდარული მწვრთნელი ფილ ჯექსონი ამ სტრიქონებს წერდა, კობი ბრაიანტის გუნდიდან წასვლის ან მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმების შესაძლებლობების თაობაზე გაუთავებელი გარჩევები და სკანდალური პრესკონფერენციები იმართებოდა.

როგორც ჭეშმარიტ პროფესიონალს სჩვევია, ფილი არც ამჯერად შემცდარა კობი ბრაიანტის შესაძლებლობის შეფასებაში. უბრალოდ, მან საკუთარი შესაძლებლობები და პერსპექტივები ვეღარ გათვალა, როცა მწვერვალზე მყოფმა ჩათვალა, რომ „ლეიკერსში“ ამტყდარ „ვარსკვლავურ ომში“ გამარჯვებული თვითონ გამოვიდოდა. ყველაფერი კი სრულიად საპირისპიროდ მოხდა...

2004 წლის 10 ივლისს, ფილ ჯექსონის ზემოთ მოყვანილი შეფასებებიდან თითქმის ერთი თვის თავზე, „ლეიკერსმა“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გუნდმა ცენტრ შაკილ ონილის სანაცვლოდ 3 ახალი მოთამაშე შეიძინა და სეზონს ახალი მთავარი მწვრთნელით — რუდი ტომიანოვიჩით შეხვდებოდა. 5 დღის შემდეგ „ლეიკერსის“ გენერალურმა მენეჯერმა მიჩ კუპჩაკმა ყველაზე სენსაციური ინფორმაცია დაადასტურა. „ლეიკერსის“ ხელმძღვანელობამ კობი ბრაიანტთან, რომელიც 1 ივლისიდან თავისუფალ აგენტად ითვლებოდა, კონტრაქტი განაახლა.

ასე რომ, კალათბურთის ზედმიწევნით მცოდნე ფილ ჯექსონი თამაშს გამოეთიშა, კობი კი გამარჯვებული დარჩა. ეს ხომ ამერიკაა და აქ ჰოლივუდის ფილმების კანონების თანახმად მთავარი გმირი ყოველთვის გამარჯვებული რჩება და ის თითქმის ყოველთვის ცოტა ფიცხი, ცოტა მოუდრეკელი და დიდად ამბიციური „გაუხედნავი კოვბოია“ და როგორც ჩანს, ცხოვრებაშიც ფსონს სწორედ ასეთ ბიჭებზე ჩამოდიან.

### დღიური

ფილ ჯექსონის წარმატებული კარიერა „ლეიკერსში“ დასრულდა. სამაგიეროდ, „ლოს ანჯელეს მეგეზინში“ მისი ახალი სამწერლო სეზონი გაიხსნა. ოქტომბერში აქ ჯექსონის მომავალი წიგნიდან ამონარიდების გამოქვეყნება დაიწყეს სათაურით — „უკანასკნელი სეზონი: გუნდი საკუთარი სულის ძიებაში“. ამ წიგნში ჯექსონი მასსა და კობი ბრაიანტს შორის არსებული ერთგვარი ფსიქოლოგიური ომის მიზეზების ახსნას ცდილობს. თუმცა, თავად კობი მისი ყოფილი მთავარი მწვრთნელის მიერ გუნდის „ბინძური თეთრეულის“ სააშკარაოზე გამოტანას მიზანშეწონილად არ თვლის. მეტიც, ჯექსონის მიერ მოწყობილი ეს საერთოსახალხო „რეცხვა“ პრაქტიკულად არც აინტერესებს და ყველაფერ ამას ერთგვარი ცინიზმითაც კი აფასებს — „ის მუდამ აწარმოებდა დღიურს. ეს მისი მეხუთე თუ მეექვსე წიგნია. მე უმალ „ბეჭდების მბრძანებელს“ წავიკითხავ ერთ დღეში. ალბათ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ, მაგრამ მასაც და მის წიგნსაც ყოველივე კარგს ვუსურვებ... გუნდში აშკარად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებიც იყო, აჯობებდა მათზე გაემახვილებინა ყურადღება.“

მაგრამ ფილი, როგორც ამ დღიურიდან ირკვევა, ყოველთვის თვლიდა და თვლის, რომ სწორედ კობი ბრაიანტი იყო და არის გუნდში განხეთქილების გამომწვევი მთავარი მიზეზი და ამიტომ „სხვა“ პრობლემებზე ყურადღებას ის ვერ გაამახვილებდა. სწორედ კობის ამბიცია — ყოველთვის ყველაზე პრივილეგირებული მოთამაშე ყოფილიყო და ქომაგებისა თუ მასმედიის ყურადღებაც მხოლოდ მასზე ყოფილიყო ფოკუსირებული — გუნდის სხვა წევრებს, განსაკუთრებით კი „ლეიკერსის“ ასევე დიდვარსკვლავ შაკილ ონილს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა. ესეც განხეთქილების მესამე პერსონაჟი და რომანისათვის საჭირო კლასიკური სამკუთხედიც შეიკრა! თუმცა აქ „მონტეგებისა“ და „კაპულეტების“ დრამატულმა საგამ ფინალურ ნაწილში სხვა შტრიხები შეიძინა და ვინაიდან მოქმედება თანამედროვე ამერიკაში ვითარდებოდა და არა შუა საუკუნეების ინგლისში და „რომანის“ ავტორიც შექსპირი არ გახლდათ, — „რომეო“ გადარჩა და ჯექსონის კატეგორიულობას შაკილ ონილი „ემსხვერპლა“, — ის „მაიამი ჰითში“ გაცვალეს. თუმცა, გენერალური მენეჯერის მიჩ კუპჩაკისა და გუნდის მფლობელის — ჯერი ბასის განცხადებით, ფილ ჯექსონისა და შაკილ ონილის გუნდიდან წასვლასთან კობი ბრაიანტს საერთო არაფერი ჰქონდა და მძლავრი „ლეიკერსი“ მათ შორის განხეთქილების ჩამოვარდნის გამო არ დაშლილა.

### სიგიჟის ზღვარზე...

„ლეიკერსში“ ფილ ჯექსონის ხუთწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ვერცერთმა მოთამაშემ ვერ გაბედა, გამოეცადა, სად გადიოდა გუნდის მთავარი მწვრთნელის მოთმინებისა და სიგიჟის ზღვარი. კობი ბრაიანტის გარდა. მან გამოსცადა და ეს „გამოცდა“ ხუთიანზეც ჩააბარა! თუმცა, ასეთ ფინალამდე ზემოთ აღნიშნულმა „სამეულმა“ რთული და დაძაბული ურთიერთობების არაერთი სეზონი განვლო. მათ შორის ბოლო, ყველასა და ყველაფრისთვის მართლაც ბოლო აღმოჩნდა. მანამდე კი იყო ურთიერთ პრეტენზიები, ბრალდებები და თერაპიული სეანსები ფსიქოანალიტიკოსთან!

როგორც ჯექსონი იხსენებს, „დალას მავერიკსთან“ თამაშის წინა ღამეს მას მოულოდნელად კობი ბრაიანტი ესტუმრა. ის ძალიან აღელვებული ჩანდა და როგორც გაირკვა, მისი აღელვების მიზეზი შაკილ ონილის ინტერვიუ გახდა. ინტერვიუში შაკი კობიზე ამბობდა, რომ ტრავმის შემდეგ მას ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდებოდა, ისევ ფორმაში რომ ჩამდგარიყო და სხვა თანაგუნდელების დონეზე ეთამაშა.

„მე ნამდვილად არ მჭირდება რჩევები იმის თაობაზე, თუ როგორ ვითამაშო და რა ვაკეთო ჩემს პოზიციაზე. ჯობს მან თავისი უბადრუკი ტყორცნების თაობაზე იდარდოს“ — განაცხადა კობიმ და ჯექსონისთვის სავსებით ნათელი გახდა — ეს უკვე ომის გამოცხადებას ნიშნავდა! პასუხმაც არ დააყოვნა და „ლეიკერსში“ „ვარსკვლავური ომი“ მართლაც დაიწყო...

„თუ მას არ სჭირდება იმის სწავლა, როგორ ითამაშოს, იმის გაგება მაინც ნამდვილად მოუწევს — ბურთი როგორ გაათამაშოს! თუ ეს გუნდი ჩემი გუნდიცაა, მე უფლება მაქვს, გამოვთქვა საკუთარი აზრი ნებისმიერი საკითხზე და თუ კობის ეს არ მოსწონს, — შეუძლია წავიდეს...“

შაკილ ონილის ეს სიტყვები ბოლო წვეთი იყო. ზავი მათ შორის პრაქტიკულად გამოირიცხა. სამი მთავარი გმირის კონფლიქტში უკვე მთელი გუნდი აღმოჩნდა ჩათრეული. ფილ ჯექსონი კი საკუთარ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას უკვე მარტო ვეღარ უმკლავდებოდა და გამოცდილ ფსიქოთერაპევტს მიმართა, რომ გაეანალიზებინა, რა შეიცვალა, რა მოხდა ამ გიჟურ, ქარბორბალას მსგავსი მოვლენებით სავსე სეზონში ისეთი, რამაც მათში ნარცისიზმის სინდრომი ასე აალორძინა და გუნდის ყოფნა-არყოფნის საკითხი სასწორზე შეაგდო...

ერთი რამ, ყოველგვარი ფსიქოანალიზის გარეშე, უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, გუნდში უხერხულობამდე მისული „შიშველი“ კრიტიკის დონემ ისეთ „სიმაღლეს“ (თუ სიმდაბლეს) მიაღწია, რომ შეუძლებელი ჩანდა იმ ნდობისა და ერთიანი, გუნდური სულისკვეთების აღდგენა, რის გარეშეც მომავალში ჩემპიონატის მოგება გამორიცხული იყო. იქნებ სწორედ ამიტომაც ჯექსონის, როგორც გუნდის წარმატებაზე მთავარი პასუხისმგებელი პირის პოზიცია კობი ბრაიანტთან მიმართებაში კიდევ უფრო კატეგორიული გახადა: „მე უარს ვიტყვი მომავალ სეზონში ამ გუნდის მწვრთნელობაზე, თუ ის კვლავ აქ დარჩება. კობი არავის უსმენს, მე ეს უკვე ერთხელ გამოვცადე.“

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ კობს მართლაც არ უყვარდა არაფრის და არავის მოსმენა. მით უფრო შენიშვნების, თუმცა, საკუთარი ხასიათის გამო მას გუნდის მთავარი მწვრთნელის შენიშვნებზე გაცილებით უფრო უსიამოვნო პროცედურის ატანა მოუხდა ზაფხულში, ივნისის თვეში, როცა მის წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის მუხლით საქმე აღძრეს. მისდა საბედნიეროდ, ყველაფერი მოგვარდა და ბრაიანტს ბრალდება მალევე მოუხსნეს, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, არც თუ დიდი ხნით. რამდენიმე თვის შემდეგ დენვერში ანალოგიური ბრალდებებით კიდევ ერთმა „დაზარალებულმა“ აღძრა საქმე. ასე რომ ამაყ და ამბიციურ ვარსკვლავს ისევ მოუწია გაუთავებელ სასამართლო პროცესებზე მოსამართლის პირისპირ დგომა და საკუთარი უკონტროლო ამბიციის მართლმსაჯულების მკაცრი პროცედურის ჩარჩოებში მოქცევა.

### დასაწყისი

როგორც ჩანს, ამ სეზონში მართლაც ყველასათვის ყველაფერი შეიცვლება:

„ლოს ანჯელეს ლეიკერსისა“ და ნბა-ს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელს ფილ ჯექსონს — რომელმაც „ლეიკერსი“ ხუთ სეზონში ოთხჯერ გაიყვანა ფინალში და სამჯერ გააჩემპიონა — მოუწევს დაამტკიცოს, რომ გუნდის წარმატება სწორედ მასზე იყო დამოკიდებული და ნიჭიერი კალათბურთელებისაგან „ვარსკვლავებს“ სწორედ ის ჭედავს!

შაკილ ონილი — რომელმაც გუნდი დატოვა, როგორც ნბა-ს ზედიზედ სამი ფინალისა და 1999-00 წლების სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ — შეეცდება, საკუთარ კარიერაში ყველაზე საუკეთესო ჰიტი „მაიამი ჰითში“ შეასრულოს...

ხოლო რაც შეეხება კობი ბრაიანტს — ის კვლავინდებურად „ლეიკერსშია“, ძველებურად ვარსკვლავობს და იმედოვნებს, რომ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი ჯერაც არ უჩვენებია. ის მართლაც მონდომებით ვარჯიშობს, თამაშობს და რაც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, ფილ ჯექსონი ენატრება!

წინ კი ახალი სეზონი და ურთიერთობათა ახალი „რეჟიმი“ ელოდება რუდი ტომიანოვიჩთან ერთად... ახლა მთავარია, მანაც და „ლეიკერსის“ ხელმძღვანელობამაც ფილ ჯექსონი წარსულში დატოვონ და თავიდან დაიწყონ ცათამბჯენის შენება.

აქ ფოსტალიონი ორჯერ აკაკუნებს! — კობი ბრაიანტს კი ურჩევნია, საკუთარი ბედისწერა მეორედ აღარ გამოსცადოს.

**მაია ბაბანაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

*ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ რამაზ ნოზაძის ჭიდაობა ამ უქმეებზე ქართველებმა ცოცხლად ვნახეთ. თბილისის სპორტის სასახლეში მისი ბრძოლების წინ ოვაციებიც მეტი იყო, დასრულებისას კი შეუდარებლად დიდი. ლამის ცალ ფეხზე მდგომი ნოზაძე ძლიერ მეტოქეებს პატარა ბავშვებივით უსწორდებოდა, ხოლო გადამწყვეტი შეხვედრა ასევე ათენმოვლილ ამერიკელთან ისე ლამაზად მოიგო, გახარებული ხალხის ხმამ დარბაზი კინაღამ დაანგრია. რამაზის გარჯა განსაკუთრებულად დაუფასდა. გუნდურთან ერთად ზედიზედ მეორედ იჩემპიონა პირად ჩათვლაში, თუმც სერიოზული ტრავმაც მიიღო და ხალიჩას გაურკვეველი ვადით ჩამოსცილდა*

# დაინახა, გაიგონა, დაამარცხა

## რამაზ ნოზაძე ხალხმა გააბედნიერა



გიორგი ქოქიაშვილის ფოტო

— მარჯვენა მუხლსუკანა კუნთი მაქვს გაწყვეტილი და სერიოზული მკურნალობა მჭირდება. ჯერ კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი. ამ დღეებში სურათი უნდა გადავიღო. წინასწარი მონაცემებით, სულ ცოტა, ნახევარი თვე მაინც მომიწევს უქმად ყოფნა.

— ტრავმის მიუხედავად, ტურნირი მაინც ჩაამთავრე. ტკივილები არ გაწუხებდა?

— ტკივილგამაყუჩებლები კი გამიკეთეს, მაგრამ ბოლო ორი ბრძოლისას მაინც საშინელ ტკივილს ვგრძნობდი. ჭიდაობის შეწყვეტაზე კი უარი პირველ რიგში იმ აურამ მათქმევინა, სპორტის სასახლეში რომ ტრიალებდა.

— რამდენიმე მოჭიდავე მხურვალე მხარდაჭერამ ცოტა დააბნია, შენ კი თითქოს ამან პირიქით, ფრთები შეგასხა. მართალია?

— გულშემატკივრების თანადგომამ საოცრად გამახარა. ძალაც მომემატა და მონდომებაც. უცხოურ ტურნირებზე რომ ვჭიდაობ, მასპინძლების მშურს ხოლმე. ახლა კი ეს ბედნიერება მეც შევიგრძენი.

— ტრავმაც ზედმეტმა მონდომებამ ხომ არ გამოიწვია?

— ტრავმისგან არავინაა დაზღვეული, თუმც ეგებ ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყოს...

— მეტოქეებს ძალიან ადვილად უსწორდებოდი. ოლიმპიური ფორმა შეინარჩუნე თუ ამჯერად უკეთესად იყავი მომზადებული?

— ვერ ვიტყვი, რომ მსოფლიო თასს უკეთეს ფორმაში შევხვდი, ვიდრე ოლიმპიადაზე. ალბათ უფრო პირიქით, თუმც ფსიქოლოგიურად თბილისური ტურნირისთვის ბევრად უკეთ განვეწყვე და მგონი უფრო დამჯერებლადაც ვიჭიდავე.

— პირად ჩათვლაში თასი მეორედ მოიგე. შარშანდელ მიღწევას ხომ არ გაიხსენებდი?

— სიამოვნებით, მაგრამ შარშანდელი მსოფლიო თასი მაინც ცუდად დამამახსოვრდა. გუნდურიც ულაპარაკოდ ჩვენ უნდა მოგვეგო, მსაჯებს საშინლად რომ არ დავეჩაგრეთ.

— თბილისური ტურნირის მსაჯობაზე რა აზრის ხარ?

— შეცდომები აქაც იყო, მაგრამ, მგონი, სხვა შეჯიბრებებთან შედარებით ცოტა. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩვენ მოვიგეთ. მართლა ასე იყო.

— გულშემატკივრები ეგვიპტისა და მისი ლიდერის, ოლიმპიურ ჩემპიონ ქარიმ იბრაჰიმის ჩამოსვლას ელოდნენ. გულწრფელად თქვი, შენ თუ გსურდა მასთან კიდევ ერთხელ დაჭიდება?

— ალალად გეტყვი, სულმოუთქმელად ველი ასეთ შანსს. ნეტავ, მართლა ჩამოსულიყვნენ. ჩემი ხალხის თვალწინ კიდევ უფრო მეტი შემართებით ვეჭიდავებოდი.

— ეგვიპტეს უარი რომ არ შემოეთვალა, იბრაჰიმი მაინც ვერ ჩამოვიდოდა, ავტოავარიაში დაშავებულა. თუ იცი, რამდენად სერიოზული ტრავმა აქვს?

— არ ვიცი, იმედია, სერიოზული არაფერი სჭირს და სპორტსაც მალე მოუბრუნდება.

— თბილისში ძლეულ მეტოქეებს თუ შეხვედროდი აქამდე?

— მხოლოდ ბელარუს ბატურასთან მქონდა ნაჭიდავები. ევროპის ჩემპიონატზე, ნახევარფინალში შევხვდი და 7:0 მოვუგე. სხვა მოჭიდავეებსაც ვიცნობდი და სუსტი არც ერთს არ ეთქმის. განსაკუთრებით ირანელს გამოვარჩევდი.

— მგონი, ყველაზე მეტად სწორედ ირანელთან გაგიჭირდა მოგება...

— ეს იმიტომ, რომ სწორედ იმ შეხვედრაში გავიწყვიტე კუნთი. ამ ეპიზოდის მერე ილეთის გაკეთების არაერთი კარგი შანსი მქონდა, მაგრამ ფეხს ძალას ველარ ვატანდი.



გიორგი ქოქიაშვილის ფოტო

— ტრავმა ირანელის ეშმაკობამაც ხომ არ მიგაღებინა. ზოგი ამბობს, მუხლში შეგნებულად ჩაარტყაო. მართლა?

— გეთანხმები, ცოტა უხეში და ეშმაკი სპორტსმენია, თუმც ჩემს ტრავმაში უდანაშაულოა. ფეხს ძალიან დავატანე ძალა. ჯერ უბრალოდ გაიტკაცუნა, ცოტა ხანში კი საშინელი ტკივილი ვიგრძენი. აი, ტრავმის შემდეგ კი უკვე მართლა ცდილობდა, მტკივან ადგილზე შეუმჩნევლად დამწოლოდა და ჭიდაობის გაგრძელების საშუალება აღარ მოეცა.

— სეზონი უკვე დასრულდა და ცოტა ხნით დასვენებამ წესით დიდად არ უნდა დაგხიოს უკან...

— დასვენებით მაინც არ ვისვენებ. ვარჯიშს ვაგრძელებ, ძირითადად ხელებს ვტვირთავ. იმედია, მალე მუხლიც მომირჩება და სრულად დავიტვირთები.

— ბოლოს ფილა-ს ახალ გადაწყვეტილებაზეც გკითხავ. საჭიდაო წესებში ცვლილებების შეტანის თაობაზე რა აზრის ხარ?

— ვერაფერს ვიტყვი. ფაქტია, მომავალი სეზონიდან ახალი წესებით მოგვიწევს ჭიდაობა. ერთ-ერთი სიახლე ისიცაა, რომ პარტერში ჩადგომა გაუქმდა.

— არადა, ეს შენი ერთ-ერთი მთავარი პლუსი იყო. ხომ არ გგონია, რომ ეს მეტოქეებთან შენს უპირატესობას ოდნავ შეამცირებს?

— ჩემს მწვრთნელ ოთარ ტატიშვილთან ერთად მაგ საკითხზე უკვე კარგა ხანია, ვმუშაობ და დარწმუნებული ვარ, წესების შეცვლა შედეგებზე არ აისახება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ავტო-მოტო

# სავარჯიშო დრამები



REUTERS

კარლოს საინსი პენსიის წინ დაშავდა

**მსოფლიოს** ორგზის ჩემპიონს რალიში კარლოს საინსს გუშინ წლევანდელი სეზონის ბოლო, ავსტრალიური ეტაპისწინა ვარჯიშზე ავარია შეემთხვა. ესპანელის „სიტროენი“ ქალაქ პერთის შემოგარენში გზისპირა ხეს შეასკდა და გვარიანად დაილეწა.

პილოტის წარმომადგენლის განცხადებით, საინსი და მისი თანამძღოლი მარკ მარტი მძიმედ არ დაშავებულან, თუმც მაინც დააწვინეს კლინიკაში გამოსაკვლევად.

ცნობისთვის, ავსტრალიის რალი ბოლო იქნება „მეფე“ კარლოსისთვის. 42 წლის მადრიდელი „მატადორი“ 16-სეზონიან სარალო კარიერას ამთავრებს.

უარეს ხიფათს გადაეყარა „მოტო გრან პრის“ წლევანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი მაქს ბიაჯი. 2004 წლის პირველობა კი დასრულდა, მაგრამ 33 წლის იტალიელი უსაქმოდ ვერ ისვენებს.

ჰოდა, „ჰონდას“ რაშით რომის მახლობლად „ლატინას“ ტრეკზე ფეთიანი სიჩქარით ვარჯიშისას წაიქცა და მარცხენა ფეხი რამდენიმე ადგილას მოიტეხა. ცხადია, ოპერაცია გარდაუვალია და „გიჟმაჟ მაქსს“ ექიმების თქმით, სულ ცოტა, ორი თვე მოუწევს მკურნალობა.




მაქს ბიაჯი ორი თვე უსაქმოდ იქნება

ჩოგბურთი

# ბებერი ქალბატონი საპირველოდ ატროკებულა

**დღეს ლოს ანჯელესში** ქალთა საჩოგბურთო სეზონის შემაჯამებელი რვაქალა ტურნირი იწყება და რეიტინგსიის მეორეადგილოსანი ამელი მორესმო, ვინაც წინის წინა კვირაში ლინცში იმარჯვა, ხოლო წინა კვირაში — ფილადელფიაში, იმედოვნებს, რომ მას ვინმე ვერც ამ ჯერზე შეეცილება, მათ შორის — ვერც ამჟამინდელი პირველოსანი ლინდსი დევენპორტი.

„ამ ტურნირის მოგება ნამცხვარზე კრემის გადასხმასავით იქნებოდა — ამბობს მორესმო — დაბლტიეის ჩემპიონატი ხომ თავის მნიშვნელობით მხოლოდ დიდი მუზარადის ტურნირებს ჩამორჩება.“

25 წლის გალქალს ლოს ანჯელესში „შავ ჯგუფში“ მოუწევს ჩოგნაობა. იქ მასთან ერთად აშშ-ის ღია პირველობის წლევანდელი გამარჯვებული სვეტლანა კუზნეცოვა, წლევანდელივე უიმბლდონობის ჩემპიონი მარია შარაპოვა და კიდევ ერთი ნორჩი რუსგოგო, მორესმოს მიერ წინა კვირას ფილადელფიობის ფინალში ძლეული ვერა ზვონარიოვა გაირჯებიან.

„რუსი გოგონების ფონზე ბებერი ქალბატონივით გამოვჩნდები — ხუმრობს ფრანგი — ის ამბავი, რომ წლის დამაგვირგვინებელ ტურნირზე ხუთი რუსი გოგონა გამოდის, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს მართლაც რუსული წელი იყო.“

მეორე, „წითელ ჯგუფში“ რუსთაგან საფრანგეთის ღია პირველობის წლევანდელი ჩემპიონი ანასტასია მისკინა და დიდი მუზარადის ტურნირთა წლევანდელი ორგზის ფინალისტი ელენა დემენტიევა ითამაშებენ. მათ გარდა იქ ლინდსი დევენპორტი და ეშვებდაჩლუნგებული სერენა უილიამსი არიან. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ჯგუფებიდან ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალებში გავა, ხოლო ფინალი ორშაბათს შედგება.


ამელი მორესმო

ამელი მორესმო, ვინაც წლეულს ხუთი ტიტული მოაქუჩა, ხოლო სექტემბერში პირველი ფრანგი ქალი გახდა, ამქრის სათავეში მოქცევა რომ შეძლო, ახლა დასტურ ყუმბარფორმაშია და ტურნირის უმთავრეს ფავორიტადაც სამართლიანად მიიჩნევა. თუმცა ვიეთნი ეჭვობენ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრის მოსაგებად მას, შეიძლება, ისევ არ ეყოს დიდი ჩემპიონისთვის საჭირო შემართება — ამდენი წლის განმავლობაში ზეპურ ამქარში მოჩოგნავეს ხომ მას აქამდე ერთი სლემტიტულიც ვერ მოუნავრავს.

თუმცა [illegible] მორესმო [illegible], რომ სლემტიტულის მოუგებლობას მას არ აღელვებს: „დიდი მუზარადის ტურნირი წლეულს არც ლინდსის მოუგია, თუმცა ამის გამო მას არავინ აკრიტიკებს. მე კარგად მაქვს გაცნობიერებული, რა მომიგია და რისი გაკეთება შემიძლია და ამიტომ ახლა თავს ძალიან მშვიდად ვგრძნობ.“

მორესმოს თქმით, განსაკუთრებული შინაგანი სიმყარე მას რეიტინგსიის სათავემდე აღზევებამ მოუტანა: „ვფიქრობ, ამით ჩემ კრიტიკოსებსაც დავუმტკიცე, რომ ფსიქიკურად არც ისეთი სუსტი ვარ, მათ რომ ეგონათ.“

გალთა მთავარქალი ამბობს, რომ კორტზე სულიერი სიმშვიდის მოპოვებაში მას მარტში მამის გარდაცვალება დაეხმარა: „როცა ასეთი რამეები ხდება, ყველაფერი თავის რეალურ ღირებულებას იძენს. მაშინ ხვდები, რომ ჩოგბურთი არ არის ყველაზე მთავარი რამ და რომ ცხოვრება განუზომლად უფრო მეტია. სიმშვიდეც სწორედ ამის გაცნობიერებას მოსდევს.“

ახლა მას არაფერი ისე არ სურს, როგორც წლის უკანასკნელ საერთეულო ფინალში ლინდსი დევენპორტთან დაჯახება: „ეს ჩვენთვისაც დიდებული მატჩი იქნება და თქვენთვისაც. ის, თუ ვინ უნდა გაასრულოს სეზონი რეიტინგსიის სათავეში სწორედ ამ მატჩით უნდა გაირკვეს. თუმცა იქამდე მიღწევა ალბათ ორივეს ძალიან გაგვიჭირდება.“

**ლევან ქელაურაძე**

ხელბურთი

# ჩვენს ხელბურთს მოკლე ხელები აქვს

**მორიგი** სამარცხვინო მარცხი იწვნიეს ქართველმა ხელბურთელებმა საერთაშორისო სარბიელზე. ოთხი ჩვენი გუნდი გამოდიოდა ევროთასების გათამაშებაში და ოთხივე პირველივე რაუნდში გამოეთიშა შეჯიბრებას.

ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე, საქართველოს უცვლელი ჩემპიონი „სტუ-შევარდენი“ ნორვეგიის ჩემპიონ „დრამენთან“ 9 და 14-ბურთიანი სხვაობით დამარცხდა. ეს ჩვენი ოთხეულიდან ყველაზე „საპატიო“ ანგარიშით წაგებებია. ტექნიკოსთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ვლადიმერ რუსია, რომელმაც ორ მატჩში ოცჯერ გაიტანა.

„ქუთაისმა“ ჩელენჯ ქაპის გათამაშებაში ლუქსებურგის „რედ ბოიზთან“ პირველი თამაში ოცი ბურთით დათმო (ალექსანდრე ბოყოჩაძემ და ეროსი მამასახლისმა ექვს-ექვსჯერ იყოჩაღეს), მეორე დღეს კი გუნდს დიფერდინგენის დარბაზში მისვლა დააგვიანდა და 0:10 წაგება ჩაეთვალა.

„ხ/კ თბილისმა“ და საქართველოს ვიცეჩემპიონმა, აგრარული უნივერსიტეტის „მამულმა“ ერთი თვის წინ ითამაშეს. უფულობის გამო ყველამ საშინაო შეხვედრებიც მეტოქეთა მოედანზე ჩაატარა.

ქართველ ხელბურთელთა „მონაგარი“ ჩვენთვის უკვე დასრულებულ სეზონში:

**სტუ-შევარდენი — დრამენი (ნორვეგია) 26:35, 30:44**
**საუ-მამული — მეტალურგი (მაკედონია) 22:43, 24:43**
**ხ/კ თბილისი — ლუსის კაუნასი (ლიტვა) 17:46**
**ხ/კ თბილისი — სან ბერნარდო (პორტუგალია) 16:43**
**ქუთაისი — რედ ბოიზი (ლუქსემბურგი) 19:39, 0:10**

შთამბეჭდავი სტატისტიკაა, არა?!

ერთადერთი ნათელი წერტილი იმავე „თბილისის“ გამარჯვებაა პორტუგალიაში ჯგუფური ტურნირის ბოლო დღეს ჩვენზე წყალწაღებული, შოტლანდიის „ტრისტ 77“-თან — 34:21.



## ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები

პირველი ეტაპი. მეხუთე ტური

დასასრულს მიუახლოვდა ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპი. შაბათ-კვირას ბოლო ტურის მატჩები ჩატარდება და ყველა მერვედფინალისტიც გაირკვევა. რეიტინგით ყველაზე მაღლა მდგომებს, გერმანიას და ესპანეთს სამ-სამი წარმომადგენელი ჰყავთ და ყველამ ვადამდე გაინაღდა საპლეიოფო საგზური.

ტურნირში ოთხი პოსტსაბჭოური კლუბი გამოდის. ყველაზე წარმატებით ასპარეზობს მოსკოვის ოლქის „ჩეხოვსკიე მედვედი“. ვლადიმირ მაქსიმოვის „დათვებმა“ ხუთი თამაშიდან ოთხი მოიგეს და თავი ქუდში აქვთ.

შანსი აქვს უკრაინის ჩემპიონ ზაპოროჟიეს ZTR-საც, თუ სტუმრად აჯობებს უქულო „კონვერსანოს“, ხოლო „ზაგრები“: ქულადაუკარგავ „მონპელიესთან“ წააგებს.

**A ჯგუფი**

**კონსტანცა (რუმინეთი) 21:23 პიკ სეგედი (უნგრეთი)**
**ვარდარ სკოპიე (მაკედონია) 12:26 ბარსელონა (ესპანეთი)**
პიკ სეგედი — 9 ქულა; ბარსელონა — 6; ვარდარი — 3; კონსტანცა — 2

**B ჯგუფი**

**ZTR ზაპოროჟიე (უკრაინა) 27:29 ზაგრები (ხორვატია)**
**კონვერსანო 2003 (იტალია) 21:35 მონპელიე (საფრანგეთი)**
მონპელიე — 10; ზაგრები — 6; ZTR — 4; კონვერსანო — 0

**C ჯგუფი**

**ბრესტსკი მეშკოვო (ბელარუსი) 23:25 გოგ გუდმე (დანია)**
**ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) 37:33 გორენიე (სლოვენია)**
გოგ გუდმე, ჩეხოვსკიე მედვედი — 8; გორენიე, მეშკოვო — 2

**D ჯგუფი**

**პივოვარნა ლაშკო (სლოვენია) 36:18 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)**
**პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) 35:24 ვისლა (პოლონეთი)**
პორტლენდი — 10; პივოვარნა — 6; ცრვენა ზვეზდა — 4; ვისლა — 0

**E ჯგუფი**

**სიუდად რეალი (ესპანეთი) 34:30 ლიუბუშკი (ბოსნია)**
**კოლდინგი (დანია) 38:36 ვინტერტური (შვეიცარია)**
სიუდად რეალი — 10; კოლდინგი — 6, ლიუბუშკი — 4; ვინტერტური — 0

**F ჯგუფი**

**კილი (გერმანია) 39:23 ჰაფნარფიორდური (ისლანდია)**
**კრეტეი (საფრანგეთი) 20:20 სავეჰოფი (შვედეთი)**
კილი — 8; სავეჰოფი — 6; ჰაფნარფიორდური, კრეტეი — 3

**G ჯგუფი**

**ფოტექსი (უნგრეთი) 38:17 გრანიტასი (ლიტვა)**
**ლემგო (გერმანია) 38:29 სანდფიორდი (ნორვეგია)**
ფოტექსი — 10; ლემგო — 8; სანდფიორდი, გრანიტასი — 1

**H ჯგუფი**

**ფლენსბურგი (გერმანია) 38:30 ტატრანი (სლოვაკეთი)**
**მეტკოვიჩ ჯამბო (ხორვატია) 24:24 ბანიკ კარვინა (ჩეხეთი)**
ფლენსბურგი — 9; ტატრანი, ბანიკი — 5; მეტკოვიჩი — 1

REUTERS ვალენსიიდან



# ვალენსიური გაჯიბრება

ასეთი უცნაური გაჯიბრება ვალენსიაში მოხდა: ჟოკეი ფელიპე ერნანდესი თავისი კოხტა ჩარიოტით და მსოფლიო ჩემპიონი ოსკარ ფრეირი თავისი ველოსიპედით. ველომხედარმა მოიგო.

# მობილურის ქვეყანა

უზარმაზარი იაო მინგი, ჩინეთის საკალათბურთო ვარსკვლავი და მთავარი სარეკლამო სახე თავის მობილურ[illegible] სარეკლამო სტენდზე, მის წინ კი ერთი რიგითი ჩინელიც ასევე ჩაღრმავებია ტელეფონს. ჩინეთში 315 მილიონი მობილურიანი კაცი ცხოვრობს, ჩვეულებრივი ტელეფონი კი 303 მილიონ მობინადრეს აქვს. ეს მსოფლიოში უდიდესი ოდენობებია.



REUTERS პეკინიდან

# კლიჩკოს მოცილე

საბჭოს (ვბკ) მძიმე წონის ჩემპიონმა ვიტალი კლიჩკომ მოცილე იპოვა: ბრიტი დენი უილიამსი, რომელიც დაბალი კი ჩანს, მაგრამ კრივობა ეხერხება. ბრძოლა 11 დეკემბერს ლას ვეგასში გაიმართება.

REUTERS ბევერლი ჰილზიდან



# გახსნაზე მოიწყინეს

ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატი უკვე დაიწყო, ეს გოგოები კი პირველსავე, გახსნის თამაშზე თვლემენ და ამთქნარებენ. ამათში შუა, ნიუ იორკში განთქმული პარის ჰილტონი გახლავთ, მოწყენილობა კი ალბათ იმის ბრალია, რომ „ნიქსი“ ულმობლად აგებს „ბოსტონთან“ (107:73) „მედისონ სკვერ გარდენში“.

REUTERS საბლე დოლონიდან



# როქსი და ქალი

ამ გემს „როქსი“ ჰქვია და დედამიწის გარშემო შეუჩერებელი ცურვისთვის გამზადებულა. „ვენდი გლობის“ გარსაქვეყნო რეგატა უკვე დაიწყო. ეკიპაჟში 20 ზღვაოსანია, აქედან ორი ქალი, აქედან ერთი სწორედ ეს გაცინებული ანი ლიარდე.



REUTERS ნიუ იორკიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge